140
2004

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ნაკადული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მომავალი





ქ. რუსთავის 21-ე საშუალო სკოლა



ქ. ჯვარის № 1 საშუალო სკოლა, Iა კლასი. ხელმძღვანელი **კლარა ქარდავა**



დავით ალიმბარაშვილი



ელენე და სალომე ჭიჭინაძეები



# ნაკადული

**საყმაწვილო ჟურნალი**

**2004 წ. № 1**

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზე ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი" — 2
რუსთავის 21-ე – XXI საუკუნის სკოლა — 3
„ოდოშხერი" — 5
გიორგი კეჭაღმაძე. თუ დიდხანს ითოვა... (მოთხრობა) — 6
მსოფლიო კიდით კიდემდე — 12
შენი თანატოლები — 13
2004 – ოლიმპიური წელია — 16
ქვეყანას ღირსეულ ადამიანებს უზრდიან — 18
როგორი ხასიათი გაქვს (ტესტი) — 20
მიპატიჟება საიდუმლო კუნძულზე — 22
ახალი სკოლა, ახალი თანაკლასელები (სიტუაცია) — 24
ზოდიაქო (საუბრები ასტრონომიაზე) — 26
ავტოსიახლეები — 29
12 ფაქტი წმინდა ვალენტინის დღის შესახებ — 30
ახალი სმოლანდიის აღმოჩენა (კომიქსი) — 31

**რედაქტორი**
**მანანა გელაშვილი**

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## ცირკი უფასოდ

ბადრი პატარკაციშვილის ფონდმა ზამთრის არდადეგებზე საუცხოო საჩუქარი მოუმზადა სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებს – უფასოდ დაასწრო ისინი საცირკო წარმოდგენებს. მრავალშვილიანი ოჯახების შვილების გარდა, თბილისის ცირკმა შემდეგი ორგანიზაციების მეურვეობის ქვეშ მყოფ ბავშვებსაც უმასპინძლა: „ბავშვი და გარემო", „მომავლის სახლი", ქ. რუსთავის ინტეგრირებული სკოლა-ბაღი, დიღმის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სახლი, ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების ფონდი.

## მასწავლებლის ხსოვნის პატივსაცემად

ცნობილი ხელოვანის, აწ გარდაცვლილი რობერტ ბარძიმაშვილის 70 წლისთავს მიუძღვნეს კონცერტი მის მიერ შექმნილი ბავშვთა და ახალგაზრდების საესტრადო სტუდიების „ლახტისა" და „ვია-ორერას" წევრებმა. ბატონ რობერტის აღზრდილმა მოზარდებმა და ახალგაზრდებმა „ცოცხლად" შეასრულეს 60-იანი წლების ჰიტები, სიმღერები განსვენებული მაესტროს და იმ ანსამბლების რეპერტუარიდან, რომლებსაც ის ხელმძღვანელობდა.

## მინისტრი სტუმრად ბავშვთა სახლში

როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, შინაგან საქმეთა ამჟამინდელი მინისტრი გია ბარამიძე ახალ წელს ტრადიციულად დიღმის ბავშვთა სახლის მეკვლე იყო ხოლმე. მოუცლელობის გამო ბატონმა გიამ წელს პირველ იანვარს ვერ მოახერხა ბავშვთა სახლში მისვლა და ძველ ახალ წელსღა ესტუმრა სახლის აღსაზრდელებს. „წელს, სამწუხაროდ, ახალ წელს თქვენთან მოსვლა ვერ მოვახერხე. მერე აღარ მოვსულვარ, რადგან თქვენ წასულები იყავით დასასვენებლად და აი ახლა, ამ სიმბოლურ დღეს მოვედი თქვენთან ახალი წლის მოსალოცად", – მოუბოდიშა მინისტრმა თავის პატარა მეგობრებს, ბედნიერება უსურვა მათ და იმედი გამოთქვა, რომ ისინი სასახელო ადამიანები გაიზრდებიან.

## გაიმართება ლიტერატურული საღამოები ბავშვებისათვის

საბურთალოზე, ყოფილი ბიბლიოთეკის შენობაში წიგნის სახლი გაიხსნა. აქ მოსულ ადამიანებს წიგნების ყიდვის გარდა, შეუძლიათ ინტერნეტითაც ისარგებლონ. წიგნის სახლის მეორე სართულზე მოწყობილი ბიბლიოთეკა ათი ათას წიგნს იტევს. ბიბლიოთეკის ფონდი ყოველდღიურად მდიდრდება და მრავალფეროვნდება. და კიდევ – კვირაში ერთხელ წიგნის სახლში ბავშვებისათვის გაიმართება ლიტერატურული საღამოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალის სტუმარია ქ. რუსთავის 21-ე საშუალო სკოლა

# რუსთავის 21-ე – XXI საუკუნის სკოლა



*წარმოგიდგენთ სკოლის დირექტორს ქალბატონ გენრიეტა აბესაძეს. დაამთავრა ქ. რუსთავის მე-14 საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობდა განათლების განყოფილების ინსპექტორად, რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის დირექტორად, ბაგა-ბაღის დირექტორად, კერძო მრავალპროფილიანი სკოლის დირექტორად. 2000 წლიდან ხელმძღვანელობს რუსთავის 21-ე საშუალო სკოლას. არის ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, არის ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი.*

რუსთავის 21-ე სკოლას დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა. სასწავლო დაწესებულებისათვის ეს სიმწიფის, ანუ ის ასაკია, როცა მის ბიოგრაფიაში არა ერთი მნიშვნელოვანი სტრიქონი უნდა იყოს ჩაწერილი, როცა უკვე საბოლოოდ უნდა იყოს გამოკვეთილი მისი ინდივიდუალური იერ-სახე, რომელიც სხვა სასწავლებლებისაგან გამოარჩევს მას. ამგვარი სტრიქონი იუბილარი სკოლის ბიოგრაფიაში მრავლად არის, რაც შეეხება მის იერსახეს, მას ასეთი ფორმულირება მოუხდება – 21-ე სკოლა – XXI საუკუნის სკოლა. სკოლა, რომელშიც 1320 მოსწავლე და 109 პედაგოგია, ორიენტირებულია მომავალზე და ეს ყველაფერში იგრძნობა – სასწავლო-აღმზრდელობით პროცესშიც, მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობებშიც, სწავლისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულებაშიც და სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობაშიც. ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლამ ორჯერ დაიმსახურა გრანტი, საჩუქრად მიღებულმა კომპიუტერმა, ქსელურმა აპარატმა, აუდიომაგნიტოფონმა, კოდოსკოპმა და ინგლისურენოვანმა ლიტერატურამ საგრძნობლად გაამდიდრა სწავლების ტექნიკური არსენალი, რაც თავის მხრივ დადებითად აისახა ცოდნის ათვისების ხარისხზე.

დღეს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო მყარად იკიდებს ფეხს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის, როდესაც ახალგაზრდობას საშუალება ეძლევა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს სწავლა, იკითხოს სხვადასხვა სახის ლიტერატურა, იმოგზაუროს, საკუთარი თვალით ნახოს ის, რის შესახებაც უფროსი თაობები ხშირად წიგნების მეშვეობითაც კი ძლივს იგებდნენ, უცხო ენების ცოდნა სასურველი კი არა, უბრალოდ აუცილებელია. ამიტომაც ექცევა ესოდენ დიდი ყურადღება ევროპული ენების სწავლება-სწავლას ჩვენს სასწავლო დაწესებულებებში და კერძოდ, რუსთავის 21-ე სკოლაში. აქ გაღრმავებულად ისწავლება ინგლისური ენა, ამ საგნის მასწავლებელთა პროფესიული ცოდნის ამაღლებას ემსახურება სკოლაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია CTS-ის ფილიალი, მოსწავლეებს კი საუკეთესო მასწავლებელთა გაკვეთილებთან ერთად, ენის საფუძვლიანად შესწავლაში ინგლისურენოვანი კლუბიც ეხმარება. სკოლის მოსწავლეთა ცოდნის დონეს მაღალი შეფასება მისცეს ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორმა და ქ. ჩიკოს სკოლის მასწავლებლებმა, რომლებიც ქ. რუსთავის განათლების განყოფილების მუშაკებთან ერთად დაესწრნენ ინგლისური ენის გაკვეთილებს.

ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებებით ფრთაშესხმული მასწავლებლები გორკეცებული ძალისხმევით, ენერგიითა და პასუხისმგებლობით ემსახურებიან მოსწავლეთა აღზრდა-განათლების საქმეს, მცოდნე, მოქალაქეობრივი შეგნებით გამსჭვალულ, ჰარმონიულად განვითარებულ, სამშობლოს სამსახურად მზადმყოფ ქალიშვილებს და ჭაბუკებს უზრდიან ქვეყანას და ამით საკუთარი წვლილი შეაქვთ ახალი საქართველოს შენებაში. თავდადებული შრომის, ულევი ენერგიის, პირველ რიგში საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის, მუდმივი ძიების, სიახლის დანერგვისაკენ დაუოკებელი სწრაფვის მაგალითს კი მათ სკოლის დირექტორი აძლევთ. ქალბატონ გენრიეტას შემართება, ბრძოლისუნარიანობა, აქტიურობა, შრომისმოყვარეობა წამით მოდუნების უფლება-



გაგრძელება მე-4 გვ.

საც კი არავის აძლევს – არც ხანდაზმულ, გამოცდილ პედაგოგებს და არც ახალბედებს. სკოლა ის სამყაროა, ურომლისოდაც გენრიეტა აბესაძეს სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია, ამ სამყაროს ახმარს იგი მთელ თავის ცოდნას, უნარსა და ენერგიას. ქართული ეროვნული სკოლა ჩამოყალიბების პროცესშია და განათლების ყველა მუშაკს დიდი გარჯა მართებს ამ პროცესის წარმატებით დასაგვირგვინებლად – ამ ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობს მუშაობაში დირექტორი და ამასვე მოითხოვს სკოლის თითოეული მასწავლებლისგანაც. ქალბატონი გენრიეტას, სკოლის პედკოლექტივის უპირველესი საფიქრალი სწავლების ხარისხია, ამიტომაც ნიადაგ ზრუნავენ მის ამაღლებაზე. სკოლა ინდივიდუალური გეგმით მუშაობს, საყოველთაოდ მიღებული საგნების გარდა, ისწავლება ეკოლოგია, ეკონომიკა, უცხო ენების სწავლება აქ მეორე კლასიდან იწყება, სწავლების მესამე საფეხურზე ჰუმანიტარული კლასები აქვთ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რელიგიის სწავლებას, მომავალში რელიგიის გაკვეთილები სამლოცველო ოთახში ჩატარდება ხოლმე, რომელიც სულ მალე შეიქმნება სკოლაში.

21-ე სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საქალაქო, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონკურსებში და წარმატებებსაც აღწევენ. საერთაშორისო მათემატიკური კონკურს „კენგურუს“ და სოროსის ფონდის საგნობრივი ტურის გამარჯვებულთა შორის 21-ე სკოლელებიც არიან.

აქ სპორტსაც დიდი ყურადღება ექცევა, ამაზე თუნდაც ის უამრავი სპორტული ჯილდო – თასი თუ დიპლომი მეტყველებს, რომლებიც დირექტორის კაბინეტს ამშვენებს. სახელი გაუთქვეს მშობლიურ სკოლას კალათბურთელმა გოგონებმა, რომლებიც ქალაქის ჩემპიონები გახდნენ და მოსწავლეთა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს, სკოლის გუნდის ორი მოთამაშე კი საქართველოს ნაკრების წევრია. კალათბურთელებს არც ფეხბურთელები უდებენ ტოლს, გასული წლის ოქტომბერში 21-ე სკოლის გუნდმა ქ. რუსთავის პირველობაზე ჩემპიონობა არავის დაუთმო და მშობლიური სკოლის სპორტულ მატიანეში კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერა.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომელიც თანამოაზრეთა გუნდს წარმოადგენს, ერთი სულისკვეთებით ირჯება და რუდუნებით, ენერგიის დაუზოგავად უკვალავს ბავშვებს ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელ ბილიკებს. თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ქალბატონი გენრიეტა აბესაძე და თითოეული მასწავლებელი ცდილობენ სასკოლო რეფორმის მოთხოვნა-შემოთავაზებებს შორის სკოლის ტრადიციების, მისი სინამდვილისთვის შესაფერისი გონივრული მარცვალი შეარჩიონ და ისე შეუდგნენ ამა თუ იმ სიახლის დანერგვას. რადგან მტკიცედ სწამთ, რომ სხვა ქვეყნების განათლების დარგის მიღწევების ადგილობრივ თარგზე გაუაზრებლად, აუწონ-დაუწონავად, ბრმად მორგება ჩვენს სასკოლო სისტემას სასიკეთოდ ვერ წაადგება. მთავარ პრიორიტეტად კი მათთვის კვლავაც საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მამულიშვილების, ეროვნული ცნობიერებით გამსჭვალული, ფართო განათლების მქონე ახალგაზრდების აღზრდა რჩება.



ერთი დღე სკოლაში

# მათემატიკური საღამო

ძალზე საინტერესო და ხალისიანი გამოდგა ქ. რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის $VI^2$ კლასის მოსწავლეების და მათი მასწავლებლის, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის, თამარ ბედუკაძის მიერ ორგანიზებული მათემატიკური საღამო. წინასაახალწლოდ გამართულ კონკურსში ასპარეზობდა სამი გუნდი: „კონუსი“, „პირამიდა“ და „ცილინდრი“. ბავშვებმა შესანიშნავად ჩამოაყალიბეს თითოეულის დევიზი. კონკურსის მონაწილეებმა მიმოიხილეს ქართველ მათემატიკოსთა მიღწევები XVII საუკუნიდან დღემდე, წაიკითხეს გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსთა ი. ვეკუას, ა. რაზმაძის, ნ. მუსხელიშვილის ბიოგრაფიები, ისაუბრეს მათ მოღვაწეობაზე.

მოსწავლეებმა ისაუბრეს ორნიშნა, სამნიშნა და ოთხნიშნა რიცხვების ზეპირ ანგარიშზე, ასევე იმაზე, თუ როგორ უნდა გაამრავლონ 999 სამნიშნა და ოთხნიშნა რიცხვებზე. სხაპასხუპით ჩამოაყალიბეს 15-ზე, 25-ზე 9-ზე, 99-ზე და ა.შ. გამრავლების წესები. შემდეგ ჯგუფები ამოცანების ამოხსნასა და წესების ცოდნაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. კონკურსის ყველა მონაწილე ერთნაირად აქტიურობდა და ხალისობდა.

საღამო მარტო მათემატიკით არ შემოფარგლულა, ბევრი იყო სიმღერაც და ცეკვაც. ყველა საზეიმო განწყობილებამ მოიცვა. ბავშვებმა წინასწარ მიულოცეს დამდეგი ახალი წელი სკოლის დირექტორს ქალბატონ გენრიეტა აბესაძეს, მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, თანატოლებსა და საღამოს სტუმრებს.

მარინა მირცხულავა

# ფოთლები... ფოთლები...



თათია გობეჩია ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა არა მარტო თავის VI[ა] კლასში, არამედ მთელ სკოლაში. ნიჭიერ, თავაზიან და ხალისიან გოგონას უყვარს ოცნება, ოცნებობს თავის ლამაზ მომავალზე, სამშობლოს ბედნიერებაზე. თათიას ძალიან უყვარს წიგნები და ბევრს კითხულობს, წაკითხული აქვს ქართველი და უცხოელი ავტორების საუკეთესო ნაწარმოებები, მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები (წიგნების სიყვარული თათიას ბებიამ ჩაუნერგა), ამასთან იგი თვითონაც ცდის კალამს, წერს პატარ-პატარა მოთხრობებს, ჩანახატებს, ლექსებს.

შემოდგომაა. ქრის ცივი ქარი. მზეს ძალა მოაკლდა. ფერი იცვალეს ფოთლებმა: ზოგი გაყვითლდა, ზოგიც წითლად ღვივის, ხმებიან და ფარფატ-ფარფატით ეშვებიან მიწისაკენ. აი, ორი მეგობარი ფოთოლი ხელიხელჩაკიდებული მოწყდა დედახეს და ასევე შეუერთდა მათზე ადრე ჩამოცვენილ ფოთოლთა ჯარს. საწყალი მეგობრები! ერთად იყვნენ მთელი გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომის ბოლო კი საბედისწერო აღმოჩნდა მათთვის – ეს მათი დაშორების დროა.

ცვივიან ფოთლები, ხალიჩად ეფინებიან მიწას. მანამდე კი... როცა ხის ტოტებს, წყდებიან სტკივათ, ძალიან სტკივათ სხეული და გამწარებით იძახიან:

– ვაი, მტკივა, მტკივა, მტეხს, მიშველეთ, შემიცოდეთ! – მაგრამ არავის ესმის მათი გმინვა. საინტერესოა, რომ გესმოდეთ, უშველიდით ფოთოლს?

დრო დროა. ბებიები და დედები ეზოს გვიან. ამ დროს ნაგვის კალათას თან მიჰყვება ეს პატარა გამხმარი ფოთოლი, რომელიც ტირის და ტირის.

ისევ მოვა გაზაფხული. ისევ შეიმოსება მწვანით არემარე. შეიფოთლებიან ხეები. ეჰ, ნეტავ, შეიძლებოდეს ის ფოთლებიც, რომლებიც მთელი ზამთარი გატრუნულები იყვნენ, ამოფრინდნენ მიწიდან და ისევ იმ ხეს დაუბრუნდნენ...

*თათია გობეჩია,*
*ქ. ჯვარის I საშუალო სკოლა,*
*VI[ა] კლასი*

## გაიფრენს წლები

სწრაფად გაფრინდა ბავშვობის წლები.
დღეები დღეებს ჩუმად მისდევდა,
რომ გადასედავ შენს წარსულს
მდუმარეს,
ის უკვე შენთან აღარ იქნება.
მე თქვენ მოგმართავთ – ჩემო
ბავშვობავ,
ჩემი ცხოვრების წარმტაცო წლებო,
დაუვიწყარო წამებო ჩემთვის
და საოცნებო მართალო დღეებო.
ამ ქვეყნად ბევრი ტკივილი არის,
კვლავ ბევრს აწუხებს მწარე იარა,
თუმც, ლამაზადაც ბევრნი
ცხოვრობენ,
ბედმა ამ ქვეყნად ბევრს გაუღიმა.
გაიფრენს წლები, როგორც
მერცხალი,
დაუბრუნდება თავის სამყოფელს,
იმ ცხოვრებაში სახელის გარდა,
ვერასდროს, ვერვინ ვერას წაიღებს.

*მაკა შუხოშვილი,*
*სკოლა „ათინათი“*
*IX კლასი*

ქ. ჯვარის №1 საშუალო სკოლის მოსწავლე 12 წლის თემურ შონია ერთიან და ძლიერ საქართველოზე ოცნებობს და დარწმუნებულია, რომ ეს ოცნება მალე აუხდება. საზრიან და გონიერ ყმაწვილს ძალიან უყვარს წიგნები, სიამოვნებით კითხულობს ზღაპრებს, სათავგადასავლო და მხატვრულ ლიტერატურას, მოთხრობებს საქართველოს ისტორიაზე. თემურს სპორტის ყველა სახეობა მოსწონს, განსაკუთრებით – ფეხბურთი. კარგად თამაშობს ჭადრაკს, გარდა ამისა, კარგად მღერის და ცეკვავს.

## აფხაზეთს

აფხაზეთო, საქართველოს
მოწყვეტილო მკერდო,
გეფერები და გეხვევი,
დაკარგულო ჩემო.
სოხუმი და ოჩამჩირე
მომენატრა მეო.
ნატვრისთვალო, გევედრები
ლოცვა მისმინეო,
დამიბრუნე აფხაზეთი,
კვლავ გამახარეო.



## ჩემს პირველ მასწავლებელს

(ლარისა ციმინტიას)

თითქოს გუშინ იყო –
შემოვაღეთ სკოლის კარი,
და თქვენ, მასწავლებელო,
გულში ჩაგვიკარით.
გაგვაცანით აი ია,
გაგვიხსენით ცოდნის კარი...
...დრომ სირბილით გაიარა,
წამოვჩიტდით, დავფრთიანდით.
დღეს გშორდებით, გხას
გვილოცავთ
ცრემლი გახრჩობთ, მალზე
ვიწირთ,
ჩვენც გპირდებით, არ
შეგარცხვენთ,
ჩვენ ჩვენს გზებზე მედგრად
ვივლით.



# თუ დიდხანს ითოვა

გიორგი
კექელმაძე

მოთხრობა

მხატვარი
გაიოზ ფოცხიშვილი

წყნარი, უქარო ამინდი იყო, მაგრამ მაინც ძალიან ციოდა. ნაშუადღევს კი თოვა დაიწყო. ყველანი შინ ვიყავით: დედა, მამა, ჩემი ძმა ზურიკო და მე. ისე ლამაზად, ბარაქიანად ბარდნიდა, თვალს ვერ მოსწყვეტდი. ზურიკო კინაღამ გაგიჟდა სიხარულით, ხან ერთ ფანჯარას მივარდებოდა, ხან მეორეს; ხტოდა, იცინოდა, ყიჟინებდა...

მამა წასასვლელად ემზადებოდა. კვირა საღამოობით მიდის ხოლმე შინიდან. მასწავლებელია და მეზობელი სოფლის სკოლაში ასწავლის. შაბათს გაკვეთილები არა აქვს და პარასკევ საღამოს შინ ბრუნდება. ის სოფელი კარგა შორს არის აქედან. მთაგორიანი სოფელია და როცა გათოვდება, ავტობუსს უჭირს ასვლა. ამიტომ ზამთარში მამას ხშირად ფეხით უწევს სამსახურში სიარული.

მამა ფანჯარას გასცქეროდა. წასვლის დრო იყო — აღარ ხუმრობს, — ჩაილაპარაკა თავისთვის. მერე ზურიკოს მიუბრუნდა: — ხედავ? ნატვრა გისრულდება — ამაღამ დახვავდება თოვლი.

— რა კარგია! — ხტოდა ზურიკო, — რა კარგია!

— გარეთ ბევრი არ ირბინო, — გააფრთხილა მამამ, — გაცივდები... თვალი არ მოაცილო, — მითხრა მე.

მამამ ცერად შემომხედა და თვალი ჩამიკრა. მანიშნა, ასეთი ეჭვის მიუხედავად, მაინც ნდობას გიცხადებო. მერე პალტო ჩაიცვა, ლაბადა მოისხა და გარეთ გავიდა. ყველანი გავყევით.

მამამ მე და ზურიკოს მოგვხედა და გაიცინა:

— ასე ერთსულოვნად მეტი არ გაგიცილებივართ.

— რის გაცილება, — თქვა დედამ, — გარეთ გამოსვლა უხარიათ. — მერე დაუმატა: — ახლა, ალბათ, ავტობუსი არ იქნება.

— არა უშავს, — მამამ საათზე დაიხედა, — სამი საათის გზაა.

— რა ცოტაა, — გაეცინა დედას.

მამას უყვარს ფეხით სიარული. წუთით შემშურდა კიდეც — ასეთ ამინდში მეც სიამოვნებით ვივლიდი ფეხით.

— რა მოხდა მერე, — თქვა მამამ, — ვითომ სანადიროდ მივდივარ...

თქვა და ძია ბენომაც ჩამოიარა. თავისი განუყრელი ორლულიანი თოფი მხარზე ეკიდა. წინ მოუძღოდა ყურებჩამოყრილი ბებერი ძაღლი „ელვა“.

ძია ბენო მამაჩემის ბიძაშვილია. მეზობლად ცხოვრობს.

— ეგ ძაღლი კიდევ ცოცხალია, ბენო? — ჰკითხა მამამ.

ძია ბენო მოგვესალმა, პირველი თოვლი მოგვილოცა, მერე მამაჩემს ხელი ჩამოართვა. ბოლოს თავის ძაღლს შეხედა და თქვა:

— არც ისე ბებერია... გარეგნობა აქვს ასეთი.

— დაგიდგა, ბენო, სანადირო ამინდი. — მამაჩემის ხმაში შური ვიგრძენი.

— ამაღამ იხვი იქნება აუცილებლად. ასეთ ამინდში იცის... გატყობ, დღეს შენც იჯერებ გულს სიარულით.

— მეტი რა გზა მაქვს.

— მონადირის მუხლები გაქვს, თედო. ეგ არის, დრო არა გაქვს, ძაღლი არ გყავს და თოფი არ გივარგა.

— თოფმა რაღა დაგიშავა, — უთხრა მამამ, — არც ისე ცუდად ისვრის.

— ვისღა აქვს ახლა ცალპირა თოფი. ხომ ხედავ, ხალხი ავტომატებით დადის სანადიროდ.

— სწორედ ცალპირა თოფია პატიოსანი მონადირის იარაღი. ჩემი ნება რომ იყოს, მონადირეებს ყველა თოფს ავუკრძალავდი, ფილთას გარდა.

ბენოს გაეცინა:

— შენ თუ დაგიჯერეს, მალე მშვილდ-ისრებით გაგვიშვებ იხვებზე სანადიროდ.

ამასობაში სულ გაგვათეთრა თოვლმა. ძია ბენომ ქუდი მოიხადა და დაბერტყა.

— ხვავრიელად თოვს. ხედავ, რა სანადირო ამინდი დგება? აფსუს, რომ არ გცალია! — ძია ბენომ შემომხედა და უცებ მამაჩემს მიუბრუნდა: — დაუტოვე გელას შენი ჩახმახიანი თოფი. იხვებზე ნადირობას ვასწავლი, ამოდენა ბიჭია... სიმაღლეში დაგვეწია უკვე მე და შენ...

მამაჩემმა შემომხედა, ყურადღებით შემათვალიერა. თითქოს ამოწმებდა, შეიძლებოდა თუ არა ჩემი გაშვება სანადიროდ. მერე უცებ მოჭრა:

— თოფი არაა ბავშვების საქმე.

— რაღა ბავშვია, მეშვიდეშია უკვე... ხომ ხარ, ბიჭო, მეშვიდეში?

კი-მეთქი, დავუქნიე თავი.

— ჩემი ბიჭი მეხუთეშია, — თქვა ძია ბენომ, — უკვე ყველაფერი იცის: მიზანში სროლა, ვაზნების გატენა, თოფის დაშლა და გაწმენდა...

— სროლა და თოფის მოვლა ამანაც იცის, — თქვა მამაჩემმა, — მაგრამ უჩემოდ ახლოსაც ვერ გაეკარება.

გაგრძელება მე-7 გვ.

ბენომ შემომხედა. წყენა რომ შემატყო, თქვა:

– მე წავიყვან. ნუ გეშინია. ჩემთან არაფერი მოუვა.

გული გამალებით მიძგერდა. მომეჩვენა, რომ მამაჩემმა ყოყმანი დაიწყო. ეს უკვე თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა. აქამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ მამაჩემს შეეძლო თოფი ენდო ჩემთვის. მართლაც რა მოხდება, რომ მამაჩემმა ბენო ძიასთან ნადირობის უფლება მომცეს? აკი სულ გაიძახის, უკვე დიდი ხარ და ჭკუა გეკითხებაო.

– ბენო, – მოუჭრა უცებ მამაჩემმა და ყოყმანიც ერთბაშად გაქრა მის სახეზე, – ბავშვებს ნუ აქეზებ, მაგათი ნადირობის დრო ჯერ არ მოსულა.

– მშვიდობით აბა, – თქვა ბენომ ჩვეულებრივი ხალისით, თითქოს აქ არაფერიაო და გზა განაგრძო.

მამამ თვალი გააყოლა. მერე მოგვიბრუნდა:

– აბა, ჭკუით იყავით. – თქვა და გზას გაუდგა.

***

დილით დედაჩემის ხმამ გამაღვიძა:

– ზურიკო, ნახე, რა ამბავია გარეთ!

ზურიკო ლოგინიდან წამოფრინდა და ფანჯარას ეცა. მეც ავდექი და გარეთ გავიხედე. დაფნის, ფორთოხლისა და მანდარინის ხეები ისე დაეფარა ფაფუკ თოვლს, იფიქრებდით, მიწაზე ტალღებად დალაგებული ღრუბლები აწყვიაო.

ეტყობა, მთელი ღამე ეთოვა. ახლაც ბარდნიდა.

ეზოდან ქათმების კრიახი ისმოდა. ჩვენი შუბლთეთრა მურია გაშმაგებული დასდევდა თოვლში ჩაფლულ, ისედაც დამფრთხალ და შეშინებულ ქათმებს.

– მურია! – უჯავრდებოდა დედა, – მოეშვი! მაგათ თავიანთი გაჭირვება ეყოფათ!

მურია მაინც განაგრძობდა ცელქობას.

დედას ხელში ნიჩაბი ეჭირა და ბოსლისკენ გზას კვალავდა. მერე ზვინთან მივიდა და ერთ მხარეს ჩალა გამოაჩინა. ერთი კონა გაჭირვებით ამოაძრო და ბოსელში წაიღო.

სწრაფად დავიბანეთ ხელ-პირი. ამასობაში დედაც შემოვიდა.

– დღეს სკოლაში ვერ წახვალთ! – გამოგვიცხადა.

– რაო? – გაჯავრდა ზურიკო, – ვერ წავალთ კი არა... მერე მასწავლებელს რა ვუთხრა?

დედას გაეცინა.

– მასწავლებელი ვერ ხედავს, თუ იცი, გარეთ ამოდენა თოვლი რომ დევს?

– ეგ არ არის საპატიო მიზეზი, – მტკიცედ განაცხადა ზურიკომ.

– გადი ერთი ეზოში, – უთხრა დედამ, – ყელამდე მოგწვდება თოვლი. გზაზე ნაკვალევიც არ ჩანს. დღეს სკოლაში ვერავინ მივა.

ზურიკო მიხვდა, რომ წინააღმდეგობა ამაო იყო. სახე მოეღრუბლა.

– ვერც შენ წახვალ, – მითხრა დედამ.

– სირცხვილია, – ვუთხარი, – მეც პატარა ხომ არა ვარ! ასეთ თოვლში შარშან ხომ დავდიოდი სკოლაში.

სკოლა კარგა შორს გვაქვს. დილაობით მოსწავლეები კანტორის შენობის წინ ვიკრიბებით და იქიდან ავტობუსით მივდივართ სკოლაში. დღეს, რა თქმა უნდა, მანქანა გარაჟიდან აღარ გამოვა.

– ასე დიდი თოვლი შარშან არ ყოფილა, – მითხრა დედამ.

– არც ნაკლები იყო, – არ ვიშლიდი ჩემსას.

– კარგი, წადი, თუ ძალიან გინდა, ოღონდ ფეხით რომ მოგიწევს წასვლა, ხომ იცი?

– რა უჭირს მერე...

– მაშინ მეც წავალ, – თქვა ზურიკომ, – მეც შემიძლია ფეხით სიარული.

– შენ არა, – უთხრა დედამ.

ზურიკომ ერთხანს კიდევ იჭიჭყინა. მერე ხვედრს შეურიგდა, დიდხანს არ უდარდია – სამზადის სხვენზე შენახული ციგა ჩამოიტანა და წმენდა დაუწყო.

ჩვენი უბნიდან იმ დღეს მხოლოდ ორნი ვიყავით სკოლაში. სულ გაუკვალავ თოვლში ვიარეთ...

გაკვეთილების შემდეგ გამოგვიცხადეს, თუ ამაღამ კვლავ ითოვა, ხვალ სკოლაში ნუღარ მოხვალთო.

საღამოს ძია ბენო გვესტუმრა. კარებთან გულდაგულ დაიბერტყა თოვლიანი ტანსაცმელი. თოფიც გაწმინდა თოვლისაგან და მომაწოდა, შინ შეიტანეო. „ელვამაც" შეიბერტყა ბალანი. ჩვენმა მურიამ მაშინვე მოირბინა...

ამ დროს დედაც გამოჩნდა.

– გამარჯობა, ჩემო რძალო, – უთხრა ძია ბენომ დედას.

დედამ შინ შეიპატიჟა.

აგუზგუზებულ ბუხართან დავსხედით. დედამ ბოდიში მოიხადა და სამზარეულოში გავიდა.

ზურიკომ ჩუმად გასინჯა ძია ბენოს სანადირო ჩანთა და აღტაცებულმა შესძახა:

– ყოჩაღ, ძია ბენო!.. ყოჩაღ!.. აი, მესმის ნადირობა!

– ეგ რა ნადირობაა, – ხელი აიქნია ძია ბენომ, თითქოს ზურიკოს დაუმსახურებელ ქება-დიდებას იგერიებსო, – დღეს ხელი მომეცარა.

– რა მოკალი? – ვკითხე მე.

– ორი იხვი და სამი ტყისქათამი,

– მაჩვენე, ზურიკო!...

ზურიკომ მაშინვე ამოიღო ჩანთიდან იხვი და ტყისქათამი.

– წაიღე, – უთხრა ზურიკოს ძია ბენომ, როცა ნანადირევი დავათვალიერე, – დედაშენს მიეცი... დანარჩენებს კი შინ წავიღებ, თუ არ გეწყინებათ, ბიჭებო...

– წყენა კი არა! – თქვა ზურიკომ, – როგორ გვეწყინება, ძია ბენო, პირიქით, ძალიან მადლობელი ვართ!

– კარგად გინადირია, – ვუთხარი მე. – ბევრი იარე?

– არც ისე... აქ ვიყავი, ფშანებთან... ცუდად მაქვს, გელა, საქმე. ტყვია-წამალი გამითავდა, ვერ მოვასწარი მომარაგება.

ამ დროს დედა შემოვიდა:

– რა ამბავია, ბენო. მთელი დღე ჩვენთვის გირბენია და ეგ არის. შინ არაფერი მიგაქვს?

– იქაც ეყოფათ, ჩემო რძალო... შენ ის მითხარი, თედოს ტყვია-წამალი ხომ არა აქვს?

– რა მონადირე ხარ, ბენო, ყოველ წელს ტყვია-წამალს რომ სესხულობ?!

– დღეს-ხვალ-მეთქი, გავიძახოდი და უცებ თოვლიც მოვიდა. ვინ ელოდა ახლა ასეთ თოვლს!.. ეს სკოლა ხომ მოიხსნა, თედო შინ არ მოვა?

– არა მგონია. შარშანაც თოვლის გამო მთელი კვირით მოხსნეს სკოლა... თედო მაინც სკოლაში იჯდა. სკოლა ბავშვებისათვის მოხსნეს, ჩვენთვის კი არაო...

– კი მაგრამ, ბავშვები თუ შინ სხედან, ჩემი ბიძაშვილი სკოლაში რაღას აკეთებს?

– რა ვიცი, ათასი საქმეაო.

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია ბენომ მხრები აიჩეჩა. მერე თქვა:

– უნდა მიშველო, ჩემო რძალო.

– თედოს ყველაფერი ჩაკეტილი აქვს.

– თქვენ ნება მომეცით და, ჩაკეტილის გაღება ჩემზე იყოს.

– რომ გაჯავრდეს, რატომ გააღეთო?

– ეგ საქმეც მე მომანდეთ. თედოს მაინც არ სცალია სანადიროდ. ესეც არ იყოს, სულ ხომ არ იქნება გზა დაკეტილი, ჩავალ ქალაქში და ერთ ფუთ ტყვია-წამალს ჩამოვუტან... აქვე გავტენი ვაზნებს. აბა, უარს ნუ მეტყვით ახლა...

* * *

მამაჩემს თავის პატარა სახელოსნოში აქვს ჩაკეტილი სანადირო თოფი, ტყვია-წამალი, სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი. ზოგჯერ არც კეტავს, მაგრამ იქ შესვლის უფლება არავის აქვს, რა თქმა უნდა, თუ თვითონ არ მიგვიპატიჟებს. ძია ბენომ სახელოსნოს კარიც გააღო და ტყვია-წამალსაც მიაგნო, მაგრამ საფანტი რომ ნახა, იმედგაცრუებული დარჩა.

– რაღა ვქნა, თუ სხვა საფანტი არა აქვს, – განაცხადა წყენით.

– საფანტს სხვაგან არსად ინახავს, – თქვა დედამ.

– მართლა? – მკითხა ძია ბენომ.

მხრები ავიჩეჩე.

– ეს საფანტი არ გეყოფა? – ვკითხე.

– იკმარებს როგორმე... მაგრამ, შეხედე, რა წვრილია! ამ საფანტით ტყისქათმის მოკვლა ძნელია. იხვისა მით უმეტეს... ძალიან ახლოდან უნდა ესროლო.

ძია ბენომ სხვა ყუთებიც მოჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი ნახა. მერე თქვა – რაც არის არისო, და ვაზნების გატენას შეუდგა;

– შენც გაგიტენი ვაზნებს. ხომ წამოხვალ სანადიროდ?

– როგორ არ წამოვალ, მაგრამ...თოფი?

– აი, თოფი, – მანიშნა მამაჩემის თოფზე.

– რომ არ მანებებს?

– ნუ გეშინია... მე ვაგებ პასუხს. არადა, ასეთი ცალპირა მეცა მაქვს სახლში.

ძია ბენომ ვაზნები გამიტენა. ხვალ სანადიროდ წაგიყვან და თოფსაც გათხოვებო, მითხრა.

* * *

მეორე დღეს დილიდანვე შევუდექით მზადებას.

მამაჩემის თოფის წაღება ვერ გავბედე. ძია ბენომ მათხოვა თავისი ძველი, ცალპირა „ცენტრალკა“.

– იღბლიანი თოფია, – მითხრა. – ამ თოფით ბევრჯერ კარგად მინადირია.

აბა თოფს როგორ დავიწუნებდი!

– დიდებული თოფია, ძია ბენო!

– მთავარი მაინც მონადირეა – უნდა ვარგოდეს.

შინიდან შუადამისას წამოვედით. ძლივს გავეპარე ზურიკოს.

თოვდა. ძია ბენომ თავი გააქნია. ერთხანს დუმილით მიკვალავდა გზას, მერე მითხრა:

– არა უშავს, ისწავლი.

– ძნელია? – ვკითხე.

– ალღო უნდა. ალღოს გამომუშავებას კი დიდი დრო და ვარჯიში სჭირდება. აბა, მიყურე?

ძია ბენომ თოფი გადმოიღო მხრიდან. მიდამო მოათვალიერა. რამე ფრინველი ხომ არ მოჩანსო. აქა-იქ შაშვები თუ დაფრთხიალებდნენ. ბუჩქიდან გუნდმა გადაგვიფრინა. ძია ბენომ სწრაფად შემართა თოფი და გაისროლა. ერთი ჩხართვი უხელოდ ჩაეფლო თოვლში.

– დაინახე?.. არც კი დამიმიზნებია. თვალი და ხელი მაქვს გავარჯიშებული და ამას მექანიკურად ვაკეთებ. იხვისა და ტყისქათმის მოკვლა უფრო ადვილია.

– რა თქმა უნდა, – დაეეთანხმე, – იხვი დიდია...

– დიდიცაა და სხვანაირადაც ფრინავს. გაფრენილ ჩხართვს ჯერ ვერ მოახვედრებ, იხვი კი შეიძლება მოკლა. თუმცა საფანტი არა გვაქვს შესაფერი.

– მაინც, როგორ უნდა დავუმიზნო?

– ხომ გითხარი, მე არც კი ვუმიზნებ-მეთქი. ისე კი არსებობს რაღაც წესები. მაგალითად, თუ იხვი შენს თავზე მოფრინავს, თოფი წინ უნდა დაუმიზნო. ცხადია, ფრენის მიმართულებით. ჯობია, ცოტათი ზევით თუ დაიჭერ ნიშანს. მნიშვნელობა აქვს იმასაც, ქარია თუ არა... კარგად რომ გაეჩვევი, შენი ნასროლი თვითონ მოძებნის ფრინველს. ასეა...

შარაგზა გადავჭერით და ველს შევუყევით. სიარული უფრო გაჭირდა. ჭანჭრობები უკვე ერთიანად დაეფარა თოვლს. აქა-იქ შავ-შავი წერტილებივით მოჩანდა სველი მიწა. წყალსაწრეტ თხრილებში ორჯერ აგვიფრინდა ტყისქათამი. პირველს ძია ბენომ ესროლა და ჩამოაგდო. მეორე რომ აგვიფრინდა, შენ უნდა ესროლოო, გამაფრთხილა. ვესროლე კიდეც, მაგრამ ავაცილე. ბენო ძიას გაეცინა: არა უშავს, ეს ერთი და სხვა მრავალიო, და გზა განვაგრძეთ. მდინარესთან შევჩერდით და კარგა ხანს ვათვალიერებდით ნაპირებს. მერე ბენო ძიამ მითხრა: გაღმა გავალ და ნაპირს ჩავყვები, შენ აქეთ იარე. ერთ ნაპირზე აფრენილი იხვი მუდამ მეორე ნაპირზე მიფრინავს და ასე უფრო ხელსაყრელია ნადირობა. ეცადე, ახლოდან ესროლეო. ძია ბენო არც კი იყო ნაპირზე გასული, რომ იხვი წამომიფრინდა. ვესროლე, დავაცილე... ესროლა ძია ბენომ და ჩამოაგდო. იხვი წყალში ჩავარდა. „ელვა“ ცურვით დაედევნა და ნაპირზე გაიტანა.

ამის შემდეგ კარგა ხანს არც იხვი შეგვხვედრია და არც ტყისქათამი.

თოვლი წელამდე მწვდებოდა. კვლავ თოვდა. გავოფლიანდი. დავიღალე კიდეც. წყალიც მომწყურდა, მაგრამ რამდენჯერმე თოვლი ჩავიყარე პირში და წყურვილი იმით მოვიკალი. დროდადრო ძია ბენო გაღმიდან ხმას მომაწვდენდა, ნუ გეშინია, ნადირობა ჯერ წინ არისო. კიდევ ავაფრინე ერთი იხვინჯა. ისიც ჩამოაგდო ძია ბენომ. ჩანთაში ჩადო და გამოღმა გამოვიდა.

საღამოვდებოდა.

– ახლა აქეთ შევყვეთ, – მარჯვნივ გაიშვირა ხელი, – ფშანებზე გავიაროთ. რომ შეღამდება, გადმომფრენ იხვებს ვესვრით და შინ წავალთ. ხომ არ დაიღალე?

– არა, რა დამღლის.

თვალი უნებურად ჩანთაში ჩატენილი იხვებისაკენ გამექცა. ბენო ძიამ მითხრა:

– ნუ გეშინია, ხელცარიელი არც შენ დარჩები.

– დავრჩე, თუ გინდა. მერე რა.

– შენც მამაშენივით ტყუილად თოფის თრევა და თოვლში სიარული ხომ არ გსიამოვნებს?

– რა ვიცი... მამაჩემს სიამოვნებს?

– მამაშენს სიარული და თოფის ტარება ჰგონია ნადირობა. სროლა სულაც არ მიაჩნია აუცილებლად.

მივადექით დაჭაობებულ ფშანებს. თოვლი მაგრად და-

გაგრძელება მე-9 გვ.

ზვავებოდა ჭაობს, მხოლოდ ალაგ-ალაგ მოჩანდა ჭაობის წყალი.

– აქ ყველგან არაა თოვლი სანდო, – მითხრი ძია ბენომ. – შედგამ ფეხს და ტყლაპოში ამოყოფ თავს. ჭაობში ნუ შეხვალ, თორემ ჩაიფლობი. თხმელის ბუჩქებს მიჰყევი იმ მხარეს. მე კი აქედან ჩამოვივლი.

ხუთი წუთიც არ გასულა, ფრთების ტყლაშუნით აფრინდა იხვი. ვერ მოვასწარი თოფის გასწორება. ძია ბენომ ესროლა, მაგრამ დააცილა.

ახლა ტყისქათამი ამიფრინდა. ვესროლე. მაშინვე გაისმა ბენოს თოფის დუპლეტი. ქათამი ჩამოვარდა.

– ტყუილად ვესროლე, – დამიძახა ძია ბენომ, – შენი მოხვდა.!

მივხვდი, ტყუოდა – გულს მიკეთებდა...



კიდევ ერთი ტყისქათმისა და იხვის მოკვლა „დამაბრალა“ იმ საღამოს ძია ბენომ. ჯერ მე ვესროლე და მან დაუმატა, მერე მან ესროლა და მე მივაყოლე. ორივე შენი მოკლულიაო, მითხრა და ნანადირევი ჩანთაში ჩამიწყო. ერთი იხვი კი ნამდვილად მე მოვკალი. აქ არაფერი იყო საეჭვო.

მოზრდილი გუნდი მოდიოდა, ზედ თავზე გადამიფრინეს, არც დამიმიზნებია, ისე ვესროლე, იხვი შორიახლო ჩამოვარდა.

აი ნამდვილი სიხარული ის იყო.

ძია ბენომ დამიძახა:

– ყოჩაღ! ასე უნდა! ყოჩაღ!

შინ რომ დავბრუნდით და ჩანთიდან ნანადირევი ამოვალაგე, ამაყად გადავხედე დედაჩემს.

– ხედავ, ჩემო რძალო, როგორი მონადირე ყოფილა შენი ბიჭი, შენ კი წამოსვლას უშლიდი, – უთხრა ძია ბენომ.

გაოცებულმა დედაჩემმა ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. ნანადირევს ათვალიერებდა და თვალი მოვკარი, წამით ვერც მან დამალა სიამაყის ღიმილი. ხუმრობა ხომ არ იყო: ორი იხვი და ორი ტყისქათამი! ასეთი ნანადირევით კარგა ხანია მამაჩემიც არ დაბრუნებულა შინ.

– გელა მონადირე! გელა მონადირე! – გაიძახოდა გახარებული ზურიკო. – მეც წამოვალ, გელა, მეც წამიყვანეთ რა!..

– შენ ჯერ პატარა ხარ, – ვუთხარი, – სადმე დაგვეკარგები თოვლში. გაიზრდები და წაგიყვანთ.

– არ მომწონს ეგ თქვენი ნადირობა, – თქვა დედაჩემმა, როცა ჩემი ნანადირევის ხილვით გამოწვეული ძლიერი შთაბეჭდილება გაუნელდა, – არ მომწონს, ადრეა ჯერ... მაგის კბილა ბიჭებია, წარამარა რომ უვარდებათ თოფი და მარცხდებიან...

– მარცხისაგან დაზღვეული არავინაა, – მიუგო ძია ბენომ, – არც დიდები და არც პატარები. ერთი კი ცხადია, პატარების მარცხს უმეტესად ის იწვევს, რომ თოფის შესწავლა აინტერესებთ. გელა კი ვაჟკაცია. მისი თანატოლი ბიჭები ავტომატებსა და ტყვიამფრქვევებს ისროდნენ, როცა საჭირო იყო. ეს ცალპირა თოფი რა გახდა.

იმ საღამოს კვლავ დავტენეთ ვაზნები.

ძალიან დავმეგობრდით მე და ძია ბენო, მაგრამ ყველაფერი ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო.

... ძილში თოფის ხმა ჩამესმა. მყისვე გამომეღვიძა და მივაყურე. ისევ გავარდა ზედიზედ. თოფის ხმა ჩვენი სახლის უკნიდან ისმოდა. იქ ნალია დგას. ნალიის ქვემოთ კი, ფერდობზე, ხუთიოდე ხურმის ხეა. ხურმა ძალიან ბევრს ისხამს ხოლმე ყოველ წელიწადს და, რამდენიც არ უნდა მოვკრიფოთ, ზედ მაინც ბლომად რჩება. ზამთარში ხურმა რბილდება და ძალიან გემრიელია. განსაკუთრებით ჩიტებს უყვართ მოყინული ხურმა.

ფანჯარას მივვარდი.

დავინახე: ძია ბენო ფერდობზე დარბოდა, ხურმის ხეებქვეშ ჩიტებს გამალებული კრეფდა და ჩანთაში ყრიდა. შევნიშნე – რამდენიმე დაჭრილი ფრინველი გაქცევას ცდილობდა, უმწეოდ ფართხალებდა, ფხვიერ თოვლში ეფლობოდა. ძია ბენო მათაც მიწვდა და ჩანთაში ჩაუძახა. მერე სწრაფად გამობრუნდა და ნალიის ქვეშ დადგა. ხურმებს კვლავ დაეხვია უამრავი ფრინველი. ისევ გაისმა სროლის ხმა და ისევ გავარდა ძია ბენო დახოცილი ჩიტების ასაკრეფად.

სწრაფად ჩავიცვი და ძირს ჩაველი.

– მოდი, ბიჭო, შენც ესროლე! – დამიძახა ბენომ. – ხედავ? გაივსო ქვეყანა ბოლოშავებით. შაშვებიც და ჩხართვებიც რომ გათამამდნენ! აღარაფერს ეპუებიან... ჩემს დღეში არ მინახავს ამდენი ბოლოშავა!

ძია ბენომ ჩიტები აკრიფა და ისევ ნალიის ქვეშ დაბრუნდა.

– უკვე ოცდახუთი ცალი მაქვს ჩანთაში... ის თქვენი წვრილი საფანტი ამათთვის ყოფილა ზედგამოჭრილი.

დამფრთხალი ჩიტები შორიახლოს ხეებზე ისხდნენ. ვერ ელეოდნენ მწიფე, გემრიელ ხურმას.

– დიდხანს ვერ მოითმენენ, ისევ დაეხვევიან, – მითხრა ძია ბენომ. – წადი, თოფი გამოიტანე.

გაგრძელება მე-10 გვ.



გავიქეცი და მოვიტანე თოფი. ნალიის ქვეშ, ძია ბენოს გვერდით დავდექი.

– რიგრიგობით ვესროლოთ, – მიხრა მან. – შეხედე, დაიწყეს მოსვლა...

მართლაც, დაბალ ტოტზე შავი შაშვი ქურდულად შეხტა და ხურმას გახელებული დაეძგერა. დავუმიზნე, მაგრამ ძია ბენომ შემაჩერა:

– მოითმინე, სხვებიც მოვლენ, მე რვა მოვკალი ერთი გასროლით.

სულ მალე სხვა ჩიტებიც მოფრინდნენ და დაეხვივნენ ხურმას.

– ესროლე ახლა!.. ნუ უმიზნებ, გაუშალე პირდაპირ!...

გავისროლე და თოფი იქვე მივაყუდე ნალიის ბოძზე... სამი ბოლოშავა უსულოდ ეგდო თოვლში, ორი დაჭრილი იყო. ფართხალებდნენ, აფრენას ლამობდნენ. ორივე დავიჭირე. ერთი გამისხლტა ხელიდან, ცოტაზე აფრინდა და ისევ ჩაეფლო თოვლში. ახლოს მივედი. ამოფრინდა და თოვლზე გაიქცა. თეთრ თოვლზე სისხლის წვეთებს ტოვებდა. როგორც იქნა, დავიჭირე. გამოვბრუნდი. ახლა დაჭრილი შაშვი დავინახე. ფრთები უმწეოდ დაეფინა თოვლზე. საფანტს ნისკარტი გადაემტვრია, ცალი თვალის ადგილას კი სისხლის სქელი, მოშავო წვეთი აჯდა.

დახოცილი ჩიტები ჯიბეებში ჩავიტენე. ორი დაჭრილი ბოლოშავა მარცხენა ხელში მეჭირა, მარჯვენათი შაშვი ავიყვანე და წამოვედი. აივანზე ზურიკო შემომეგება.

– ცოცხლები დაიჭირე?.. მომეცი, მომეცი!

ხელებში მეცა, თითქმის ძალით გამომგლიჯა. ბოლოშავები ხელიდან გაუსხლტნენ და იატაკზე გაიქცნენ. ზურიკო გამოედევნა, მაგრამ ამ დროს საიდანღაც ჩვენი შავი კატა გაჩნდა, ერთს პირი სტაცა და, აივანზე რომ დიდი კარადა იდგა, იმის ქვეშ შეძვრა...

– არ მორჩება? – მკითხა ზურიკომ და დაჭრილ შაშვს ათვალიერებდა.

– რა მოარჩენს, – ვუთხარი, – ხომ ხედავ, ნისკარტი შუაზე აქვს გატეხილი. საჭმელი ხომ უნდა ჭამოს.

– ვაჭმევ როგორმე.

დედა შემოვიდა. დახოცილი ჩიტები მაგიდაზე დავაწყე. დედამ ჯერ ზურიკოს შეხედა ხელებში, მერე მაგიდას დახედა და დამიყვირა:

– შენც აჰყევი იმ ჯალათს? ახლავე მოაცილე აქაურობას ეგ შენი ნანადირევი და თოფი არ დაგინახო ხელში!

ახლა გამახსენდა: მამაჩემს არასდროს მოუკლავს შაშვი და ჩხართვი. თავის დღეში არ უსვრია ბოლოშავებისათვის. მწყერებზე ნადირობაც კი არ ეხალისებოდა.

კაცმა რომ თქვას, მეც ძალიან შემეცოდა ახლა ის შაშვი, ზურიკოს რომ ეჭირა ხელში. ფრთამოტეხილი ბოლოშავაც, რომელიც იატაკზე დარბოდა და სისხლიან ფრთას მიათრევდა. დროდადრო შეიჭახჭახებდა და ამაოდ ცდილობდა ფრენას.

ნალიის ქვეშ კიდევ გავარდა თოფი.

ათიოდე წუთის შემდეგ სულ ქვემოდან მოისმა სროლის ხმა. გავიხედე. ძია ბენო ისევ ნალიის ქვეშ იდგა. ეტყობა, ვიღაც ხევში ჩასაფრებულიყო.

საღამომდე სულ გაწყვეტდნენ საცოდავ ჩიტებს.

ვაზნები მაგიდაზე დავყარე. პიჟი ყველას ამოვაძრე და საფანტი გამოვყარე. მარტო წამალი დავტოვე ვაზნებში. მერე დაბლა ჩავედი, თოფი ავიღე და ვაზნა ჩავდე.

– ვიღაც ქვევიდან ისვრის, – თქვა ძია ბენომ, – მგონი ჯუმბერაა. გაღმიდან გამოსულა ის ტურა...

– სულ არ ეშინიათ ამ ჩიტებს? წავიდნენ, მოსცილდნენ აქაურობას!

– რა ქნან, ეშინიათ, მაგრამ შიათ. ცოტას კი დაფრთხებიან ამდენი სროლის შემდეგ და მალ-მალე აღარ შემოესევიან.

ხურმაზე ორიოდე ჩხართვი დავინახე და თოფი შევმართე.

– აცალე ცოტა, – მითხრა ძია ბენომ.

ვაცალე. დაჯდა თუ არა ერთი მოზრდილი გუნდი, მაშინვე გავისროლე.

– ბიჭოს! – გაუკვირდა ძია ბენოს, – არც ერთი არ ჩამოვარდნილა?

– არა უშავს, – თქვა და ისევ ჩავდე ვაზნა.

ათიოდე წუთის შემდეგ კვლავ მოიყარეს თავი ჩიტებმა. ძია ბენო სროლისთვის მოემზადა. აღარ ვაცალე და ისევ დავაფრთხე ჩიტები.

– უნდა გეცლია ჩემთვის, –წყენით მითხრა ძია ბენომ, – ახლა ჩემი ჯერი იყო.

ამჯერად კარგა ხანს დაგვჭირდა ლოდინი. ეტყობა, მართლა დაფრთხნენ ჩიტები.

შეგროვდნენ თუ არა, ისევ მოვასწარი სროლა.

ძია ბენომ შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– შემეშინდა, ჯუმბერამ არ დაგვასწროს-მეთქი, – ვუთხარი მე.

– რაა მაინც, სულ რომაცილებ... ხორბლით ხომ არ გაგიტენია?

– ერთად არ გავტენეთ?

შემდეგ ჯერზე ჯუმბერამ მართლა დაგვასწრო ყველას. ფერდობზე ამოირბინა და დახოცილი ჩიტები ჩანთაში ჩაყარა.

ძია ბენომ საათზე დაიხედა.

– კარგა ხანი გასულა. ახლა წავალ და ერთ საათში მოვალ.

ჯუმბერამ კვლავ დამასწრო თოფის სროლა და გაბრაზებულმა განუწყვეტელი ბათქაბუთქი ავტეხე. ერთი შაშვიც რომ დამენახა ხურმაზე, მაშინვე ვისროდი.

გაგრძელება მე-11 გვ.

– რა დაგემართა, – მიყვირა ხევიდან ჯუმბერამ, – ხომ ხედავ, რომ აცილებ. მე მაინც მაცალე.

– არ დაგაცლი! – დავუძახე, – წადი და შენს ეზოში ინადირე!

– კარგი, ნუ დამაცლი... ვნახავ ერთი, სანამ გეყოფა ეგ ვაზნები.

ვაზნები მართლაც გამითავდა.

მალე ძია ბენოც დაბრუნდებოდა თავისი ორლულიანით.

გარეთ კი თოვდა და, მგონი, თვალდათვალ მრავლდებოდნენ ხურმების ირგვლივ ხეებზე ჩხართვები, შაშვები და ბოლოშავები.

გაივლიდა რამდენიმე წუთი და ისევ გახელებით დააცხრებოდნენ ხურმას.

– ზურიკო! ზურიკო! – დავუძახე. – წალდი მომიტანე!.. ჩქარა!

– წალდი?

– ჰო, წალდი... ახლავე!

ზურიკომ წალდი მომირბენინა.

ხურმის ხეზე რომ ავვარდი და სხეპვა დავუწყე, ჯუმბერამ დამიძახა ხევიდან:

– ჩამოდი, ბიჭო, ძირს თორემ გესვრი, იცოდე!

– აბა, მესროლე ერთი!..

თოფი მართლა გავარდა და საფანტმა გამიზუზუნა. მივხვდი, შესაშინებლად ისროდა.

– ისროლე, ისროლე, გული არ გამიხეთქო შიშით!

– თვითონ ვერაფერი მოკალი და არც სხვას ანებებ! შურიანი ხარ, შურიანი!..

დავინახე, როგორ ჩაუყვა ქვევით თავისსავე ნაკვალევს. ღობესთან რომ მივიდა, შემობრუნდა და დამიძახა:

– ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო!

ძია ბენო რომ მოვიდა, ხეებზე ერთი ცალი ხურმაც არსად ჩანდა.

– რაა, ბიჭო, ეს? – იყვირა გაოცებულმა.

თოფი და ცარიელი ვაზნები მივუტანე.

– წაიღე, ძია ბენო, მეტი აღარ მინდა ნადირობა.

ძია ბენომ ვაზნები ჯიბეში ჩაიყარა, თოფი მხარზე გადაიკიდა და სიცილით თქვა:

– ეჰ, გელა, გატყობ, შენც მამაშენისთანა მონადირე გახდები.

– აბა როგორ, – მეც სიცილით ვუთხარი, – რა, ცუდი მონადირეა მამაჩემი?

ძია ბენო რომ წავიდა, კარგა ხანს ვიჯექი ღუმელთან, წიგნს ვფურცლავდი და მამაჩემზე ვფიქრობდი. საღამო იყო. ბინდდებოდა. თოვდა და თოვდა განუწყვეტლივ. დროდადრო ფანჯარასთან მივდიოდა და ვხედავდი, როგორ სხდებოდნენ შაშვები და ჩხართვები თოვლში ჩამოყრილ ტოტებზე და კორტნიდნენ მწიფე ხურმას.

ბოლოშავები კი გუნდ-გუნდად ტრიალებდნენ და გაოცებული ათვალიერებდნენ ასე უცებ გატიტვლებულ ხურმის ხეებს.

– დაიხოცებიან შიმშილით, – წუხდა ზურიკო.

– არ დაიხოცებიან, – უთხრა დედამ, – ბენოსთანა მონადირეები კი მალე გაწყვეტენ, თუ ასე დიდხანს ითოვა...

# საგურამოს ღამე

სიმონ შამფრიანი

საგურამოს ცას,
ვრცელს და ლილიანს,
უვარაყებდა მთვარე თეთრ კულულს,
და იმ წყნარ ღამით
დიდი ილია
ჩაფიქრებული ისმენდა ურმულს.
ისმენდა ბევრჯერ გაგონილს, მაგრამ
იმღამინდელი სხვა იყო მაინც, –
მას ჰქონდა ჩუმი ცრემლების გემო,
ვით აღხევანით მოტანილ მარილს;
მას ჰქონდა რაღაც მეტი მსგავსება
ქართლის ცხოვრების ნისლიან ფერთან,
იყო ღამე და სივრცეს ავსებდა
ფარაჯიანი გლეხკაცის სევდა.
ალბათ თუ იგრძნო მეურმის გულმა,
ვით საკუთარი წუხილი მწარე,
ალბათ თუ მისწვდა ბუნების გუმანს,
რომ იმ წყნარ ღამით,
როდესაც მთვარე
საგურამოს ცას,
ვრცელს და ლილიანს,
უვარაყებდა ღრუბლის თეთრ კულულს,
დიდი ილია,
ბრძენი ილია
უკანასკნელად ისმენდა ურმულს.

# ბაგრატის ტაძარი

გივი ალხაზიშვილი

იზრდება ფიქრი და ფიქრთან ერთად –
სახურავებზე ცისფერი ბოლი,
ასე იზრდება ველზე სითეთრე,
როცა წამოვა პირველი თოვლი.
თვალებზე დნება სევდის ფანტელი,
ჩამოფრენილი სინათლის სხივი
მიჭირავს, როგორც თაფლის სანთელი
და ნანგრევებზე სიჩუმე ღვივის.
თითქოს სიჩუმის ფოთლები არის
მწვანე ლოდები დუმილით სავსე
და გაყინულა კედლებზე ქარი
და მზე ქანაობს ღრუბლების თავზე.
და როგორც ზღვაზე ეული აფრა,
ისე დაცურავს დუმილში დარდი,
და არწივივით ეშვება დაბლა
ბებერი ციხის ვეება ლანდი.



# მსოფლიო კიდით კიდემდე











## აშშ

### მოსწავლეები კოკა-კოლას ველარ დალევენ

ლოს-ანჯელესის განათლების საბჭოს გადაწყვეტილებით ქალაქის გაერთიანებული სასკოლო ოლქის 677 სკოლაში იკრძალება შაქრის მაღალი შემცველობის სასმელების, კერძოდ, ,,კოკა-კოლას" და ,,პეპსი-კოლას" გაყიდვა. აკრძალვა გავრცელდა არანაკლებ პოპულარულ ,,სპრაიტსა" და ,,მაუნტინ დიუზეც". ამიერიდან ლოსანჯელესელი მოსწავლეები წყურვილს წვენებით, უბრალო წყლით, რძით და უხვვიტამინიანი გაზიანი სასმელებით მოიკლავენ. ეს ზომები მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც დადგინდა, რომ ამერიკელ მოსწავლეთა შორის ჭარბწონიანთა რაოდენობის ზრდას ზემოთ ნახსენები სასმელების ყოველდღიური მიღებაც უწყობს ხელს. კალიფორნიის უნივერსიტეტის მიერ ლოს-ანჯელესის 14 სკოლაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ სკოლების მოსწავლეთა 40 პროცენტის წონა საგრძნობლად აღემატება ნორმას.

## რუსეთი

### რეკლამებს უფრო ხშირად პატარები უყურებენ

რუსეთის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით გამოირკვა, რომ ტელეგადაცემების დროს სარეკლამო ბლოკებს ყველაზე ხშირად პატარა მაყურებლები უყურებენ, სწორედ ისინი შეადგენენ მაყურებელთა აუდიტორიის ნახევარზე მეტს – 52,4 პროცენტს. რა თქმა უნდა, ბავშვებს რეკლამირებული საქონელი ნაკლებად აინტერესებთ, მათ უფრო ხატოვანი გამოსახულება, მხიარული სიუჟეტი და ხალისიანი მუსიკა იზიდავთ. რეკლამის ყურება უფრო ოთხი-ექვსი წლის პატარებს მოსწონთ, ასაკის მატებასთან ერთად კი ეს ინტერესი თანდათან ნელდება. მარკეტოლოგთა დაკვირვებით, თინეიჯერები ყველაზე მეტი სიამოვნებით იუმორით გაჯერებულ სარეკლამო სიუჟეტებს უყურებენ.

## იტალია

### პინოქიო სავაჭრო ნიშანზე

მალე ალბათ იტალიაში დამზადებულ ყოველ ნაწარმზე შეიცვლება ტრადიციული მარკირება, ინგლისურიდან ნასესხები ,,მეიდ ინ იტალი" (დამზადებულია იტალიაში) და მის ნაცვლად გაჩნდება მთელ მსოფლიოში ცნობილი ხის კაცუნას, პინოქიოს სილუეტი. ამ ახალი სავაჭრო ნიშნის შემოღების წინადადება იტალიის პარლამენტში ნაციონალური ალიანსის წარმომადგენელმა დეპუტატებმა შეიტანეს. ინიციატივას ,,პინოქიოს თავგადასავლის" ავტორის, კარლო კოლოდის ეროვნულმა ფონდმაც დაუჭირა მხარი. ისე რომ, სულ მალე იტალიური ნაწარმის ამოცნობა მასზე პინოქიოს გამოსახულებით შეგვეძლება.

## მონაკო

### პრინცი რენიე ,,ოქროს კლოუნად" აღიარეს

მონტე-კარლოში ყოველწლიურად ეწყობა ცირკების საერთაშორისო ფესტივალი. ამ მხიარული შოუს მესვეური და ორგანიზატორი მონაკოს პრინცი რენიე გახლავთ. საცირკო ხელოვნების მორიგ ფესტივალზე ,,ოქროს კლოუნად" სწორედ მისი სულისჩამდგმელი დაასახელეს. პრიზი პაპას მისმა პატარა შვილიშვილმა, პრინცესა სტეფანის ოთხი წლის ქალიშვილმა კამილამ გადასცა. საერთო აღიარებით პრინცმა რენიემ სავსებით დაიმსახურა ეს სასიამოვნო წოდება, რადგანაც თავად იყო ამ ზეიმის მთავარი შემოქმედი. საცირკო შოუს მონაკოს მთავრის მთელი ოჯახი ესწრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენი თანატოლები



### ლიზიკო ფიფია

ლიზიკო ფიფიას ეს სურათი მაშინ გადაუღეს, როცა მას ის-ის იყო სილამაზის კონკურს „მის –2003-ში“ გამარჯვებულის გვირგვინი დაადგეს თავზე. ამიტომაც არის ასე გახარებული და სახეგაბადრული. თვალხატულა ლიზიკო მარტო მშვენიერი შესახედაობით როდი გამოირჩევა, იგი წარჩინებით სწავლობს, განსაკუთრებით მათემატიკა და გერმანული ენა უყვარს. როგორც ნიჭიერმა მათემატიკოსმა, მან მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო თამაშში „კენგურუ“ და მიღწეული წარმატებისთვის ფასიანი საჩუქარიც დაიმსახურა. ლიზიკო ჯერ მეოთხეკლასელია, მაგრამ უკვე ძალიან ბევრი რამ იცის, ეს კი იმის შედეგია, რომ ძალიან უყვარს კითხვა, წაკითხული აქვს იაკობ გოგებაშვილის „საგანძური“, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, საბავშვო ზღაპრები. გარდა ამისა, ზეპირად იცის უამრავი ლექსი. ლექსების სიყვარული და მათი გრძნობით, სულში ჩამწვდომად კითხვას ლიზი მხატვრული კითხვის წრეში სწავლობს. ლიზიკოს ცეკვა-სიმღერაც ძალიან უყვარს და ხატვაც.





### ელენე და სალომე ჭიჭინაძეები

ელენე და სალომე ჭიჭინაძეები დები არიან. ელენე სკოლა „ბალავარში“ სწავლობს და როგორც მისი საყვარელი მასწავლებელი სოფიო გენძეხაძე ამბობს, მთელ მეორე კლასში ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო და მოწესრიგებული მოსწავლეა. სწავლით ხომ სულ ფრიადებზე სწავლობს და ელენე სიმღერითაც ძალიან კარგად მღერის. ერთხანს „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაში დადიოდა, ამჟამად სტუდია „სანოს“ წევრია და ოცნებობს სიმღერით შემოიაროს მთელი დედამიწა.

სალომე ჯერ პატარაა, ხუთი წლისაა და სკოლაში არ დადის, თუმცა არც ის დღეა შორს, როცა ისიც მოსწავლე გახდება. ჯერჯერობით კი სალო „ბასტი-ბუბუს“ წევრია, ხალისით ცეკვავს და მღერის და სხვებსაც ახალისებს.

იზოლდა ბებოს და ვალერი ბაბუს მზე და მთვარე ამოსდით შვილიშვილებზე და სულ იმის ნატვრაში არიან, ჩვენი ელენე და სალომე როდის მოცუნცულდებიან, როდის გაგვიხარებენ გულსო.

ელენე და სალომე, ბებო და ბაბუ სულითა და გულით გილოცავენ დაბადების დღეს, გისურვებენ დიდ ბედნიერებას, ულევ სიხარულს და სიკეთეს და კიდევ მათ უნდათ, რომ ორივემ აყვავებულ და ძლიერ საქართველოში იცხოვროთ, ორივე სასახელო ქალები გაიზარდოთ და ქვეყანას გამოადგეთ!



### დათო ალიმბარაშვილი

დათო ალიმბარაშვილი თბილისის სკოლა-ლიცეუმ „დავითის“ მეხუთეკლასელია. გარდა იმისა, რომ კარგად სწავლობს, დათუნა ფილარმონიასთან არსებულ სახელმწიფო ანსამბლ „გვირილას“ სოლისტიც არის, მღერის და ცეკვავს. შარშან ამ ანსამბლთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის ქალაქ ალბენაში გამართულ კონკურსში „მაგიური სიმღერა – 2003“ და კონკურსის გრანპრიც დაიმსახურა. ყველას – მშობლებს, ამხანაგებს, მასწავლებლებს და ახლობლებს – იმედი აქვს, რომ ეს გონიერი, ნიჭიერი და ხალისიანი ყმაწვილი სასახელო ადამიანად გაიზრდება და ქვეყნისთვის სასარგებლო ბევრ საქმეს გააკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დასამახსოვრებელი სახელები

# ირმა გიგანი



ირმამ ჯერ საკუთარი მშობლები გააოცა- ოთხი წლის იყო, როცა ბახის პრელუდიის მოსმენის შემდეგ ეს რთული ნაწარმოები თვითონვე, დამოუკიდებლად სხვა ტონალობაში ააწყო და დაუკრა, მერე კი მუსიკალური საზოგადოება მოიყვანა აღტაცებაში - ხუთი წლისამ საქართველოს კამერულ ორკესტრთან ერთად, რომელსაც რევაზ ტაკიძე დირიჟორობდა, ბახის ფა-მინორული კონცერტი შეასრულა, ერთი წლის შემდეგ თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში სოლო პროგრამით წარდგა და შოპენის, შუმანის, შჩედრინის ნაწარმოებები დაუკრა, სულ მალე კი დიდ წარმატებას მიაღწია ბორჯომში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე "ნიჭიერი ბავშვები საქართველოდან".

საქართველოში ვუნდერკინდი პიანისტის გამოჩენით გამოწვეული პირველი აღტაცება არ განელებულიყო, რომ ექვსი წლის ირმა გიგანი ბოლონიის საერთაშორისო კონკურსის გრან-პრით ხელდამშვენებული დაბრუნდა სამშობლოში, ამასთან ეს ჯილდო ნორჩმა ქართველმა შემსრულებელმა მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსებისგან შემდგარი ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მიიღო.

ალბათ არსად და არასდროს ისე არ გასჭირვებიათ ნებისმიერი მუსიკალური კონკურსის ჟიურის წევრებს საკუთარი ემოციების დაფარვა, როგორც ნახევარი სამყაროსთვის უცნობი ქვეყნიდან ჩამოსული მუსიკის გასაოგნებელი ნიჭით მომადლებული ამ პატარა ფერიას მიერ მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებების შესრულებისას.

მშობლებმა ირმა საქართველოს საუკეთესო სამუსიკო სასწავლებელში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიაში მიიყვანეს და პედაგოგ ლიანა ფირალიშვილს ჩააბარეს, რომელიც დიდი რუდუნებით, ტაქტითა და სიფრთხილით გაუძღვა ერთი ციდა გოგონას მუსიკის ჯადოსნური სამყაროსკენ, სადაც მას არაერთი მწვერვალი ექნება დასაპყრობი.

ირმას ხვეწნა და შეგონებები არ სჭირდება, ყოველთვის ხალისით და დიდი ინტერესით უჯდება ინსტრუმენტს, პატარა თითების შეხებით მიეფერება კლავიშებს, საკრავსა და შემსრულებელს შორის უმალ რაღაც იდუმალი კავშირი მყარდება და იბადება ის, რასაც არც დაკვრა ჰქვია და არც შესრულება, არამედ შთაგონება, მუსიკით სიცოცხლე. ირმა მთელი არსებით გრძნობს, იაზრებს იმას, რაც ამა თუ იმ კომპოზიტორს უნდოდა გამოეხატა თავისი მუსიკით, და ახლა თვითონ გადმოგვცემს ამას ისე, როგორც თვითონ გაუგო, მიუხვდა ბახს, შოპენს, შუმანს, მოცარტს, ჩაიკოვსკის თუ შჩედრინს და ამ დროს ის უსაზღვროდ ბედნიერია.

იზრდება ირმა და შესაბამისად იხვეწება მისი ხელოვნებაც, ეს საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა წლევანდელ მესამე კონკურსზეც გამოჩნდა, რომელშიც შვიდი წლის პიანისტი ირმა გიგანი კონკურსგარეშე მონაწილეობდა. ამ კონკურსზე ირმა გიგანმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დი-პლომი - პრიზი დაიმსახურა.

ირმას ძერწვა და ხატვაც ეხერხება, ცეკვითაც საუცხოოდ ცეკვავს, ჩინებულად მღერის ქალაქურ და თანამედროვე სიმღერებს, მაგრამ უმთავრესი მაინც მუსიკაა და რო-გორც თავად ამბობს, აუცილებლად პიანისტი გახდება. თურმე ირმას დაკვრით გაოცებულმა და აღფრთოვანებულმა ცნობილმა ქართველმა მუსიკათმცოდნემ ბატონმა გულბაათ ტორაძემ თავისი აღტაცება და მადლობა იმით გამოხატა, რომ მუსიკოსს პატარა ხელები დაუთვალიერა და დაუკოცნა. ეს კი ვუნდერკინდ ირმა გიგანისადმი მთელი ჩვენი მუსიკალური საზოგადოების მოწიწების, მისი ნიჭის თაყვანისცემის გამოხატულება გახლდათ.

პატარა პიანისტმა სულ მალე დაამტკიცა, რომ წარმატებული დებიუტი შემთხვევითი არ ყოფილა და მას შემდეგ, რაც საქართველოს ტელე-რადიოკორპორაციის ორკესტრთან ერთად დაუკრა (დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი), ყველას აფიქრებინა, რომ იმ პატარა ვა-რსკვლავთა რიცხვს არ განეკუთვნება, რომლებიც ერთს გაიელვებენ და მალევე ჩაქრებიან. არამც და არამც! ირმა გიგანი ის ვარ-სკვლავია, რომელსაც მერე და მერე ძალა და სიკაშკაშე უფრო და უფრო ემატება. ციცქნა პიანისტის ამ გამოსვლამაც ფურორი მოახდინა, მუსიკათმცოდნეებმა, კომპოზიტორებმა, მუსიკოს-შემსრულებლებმა და მუსიკის ჭეშმარიტმა მსმენელებმა ერთხმად აღიარეს - იშვიათად რომ ამ (6 წლის) ასაკში ასე დაეკრას ვინმეს ესოდენ რთული ნაწარმოებები. აბსოლუტური სმენა, დახვეწილი გემოვნება, კომპოზიტორის მიერ ნაწარმოებში ჩაქსოვილი გრძნობა-განცდების, ფიქრების წვდომის, გათავისების და ყოველივე ამის გადმოცემის უნარი - დაგვეთანხმებით, ყველა მუსიკოსს როდი აქვს ყოველივე ეს მომადლებული, ირმა გიგანს კი ეს მადლი უხვად აქვს ნაბოძები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროშხალი



# ელენე ძნელაშვილი

ელენე ძნელაშვილს დაკვირვებული, მახვილი თვალი და გაბედული კალამი აქვს. გოგონას აფიქრებს ბევრი რამ, რაც მისირგვლივ, კერძოდ, სკოლაში ხდება. სხარტად, ცოცხალი ფერებით, იუმორით აღწერს ელენე ზოგიერთი ვაიმასწავლებლის გაკვეთილს. ელენეს უფრო გლობალური საკითხებიც აღელვებს, მაგალითად, შიდსი და მასთან ბრძოლა. მან ეს თემა მოსწავლეთა 57-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისთვისაც მოამზადა, პრობლემაზე სასაუბროდ კი ორიგინალური გზა, უცხოპლანეტელთან წერილობითი გასაუბრება აირჩია.

თუ ელენე ძნელაშვილის ნაწერებით ვიმსჯელებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისგან კარგი ჟურნალისტი დადგება, ცხადია, თუ თავად მოინდომებს, ჯერჯერობით კი იგი თბილისის მე-7 გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე და რესპუბლიკური სასახლის შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის წევრია.

## წერილი უცხოპლანეტელს!

გამარჯობა, ჩემო მეგობარო! მე ელენე ვარ. ამ წერილს დედამიწიდან გწერ. მე მჯერა შენი არსებობა და ისიც, რომ თქვენი ცივილიზაცია უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე ჩვენთან, დედამიწაზე. იქნებ თქვენ უკვე დაძლიეთ ის პრობლემები, რაც ჩვენ ამჟამად გვაწუხებს. კაცობრიობას საშინელი სისწრაფით მოედო უკურნებელი სენი, შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი.

1981 წელს აშშ-ში პირველად გამოავლინეს შიდსით დაავადებული ავადმყოფები. უკვე ორი ათეული წელია, რაც დაავადება გავრცელდა მსოფლიოს 200—ზე მეტ ქვეყანაში. 80 მილიონზე მეტი ადამიანი არის შიდსის ვირუსით დაავადებული. ამათგან 24 მილიონზე მეტი უკვე გარდაიცვალა. წარმოგიდგენიათ?! რა უზარმაზარი ციფრებია. თანაც ეს დაავადება ძირითადად ახალგაზრდებს ემართებათ (ოციდან-ორმოც წლამდე). ამდენი ახალგაზრდა, შრომისუნარიანი ადამიანი ეკარგება ყოველწლიურად ჩვენს პლანეტას. მერე და რატომ? მეცნიერებს დღემდე ვერაფერი გაუწყვიათ შიდსის სამკურნალოდ.

ამ დაავადების არსებობაზე დიდხანს არაფერი ვიცოდი, მაგრამ ცოტა ხნის წინ ერთ ჩემს მეზობელს შიდსის დიაგნოზი დაუსვეს, ყველა ისეთი გაოგნებული და სასოწარკვეთილი აღმოჩნდა, რომ ჩემში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა: მაინც რა არის შიდსი? დავიწყე სპეციალური ლიტერატურის კითხვა. თურმე დაავადებას იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, რომელიც გადაეცემა ავადმყოფიდან ჯანმრთელს. ზიანდება ადამიანის ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო ფუნქცია და ორ-სამ წელიწადში ავადმყოფი იღუპება.

საწყალი გია, ის ხომ მხოლოდ 23 წლისაა. წესიერი, განათლებული, მოწესრიგებული ახალგაზრდაა. გახდა, სახეზე ფერი დაეკარგა, წევს საწოლში და დიდი, უსაზღვროდ დიდი ნაღვლიანი თვალებით სიკვდილს ელოდება.

ღმერთო, რა საშინელებაა! რისთვის, რატომ? ადამიანი იბადება, იზრდება, სწავლობს, შრომობს იმისთვის, რომ რაღაც შექმნას, რაღაცას მიაღწიოს ცხოვრებაში, რაღაც ღირებული დაუტოვოს შთამომავლობას, უცებ კი ვიღაცების უპასუხისმგებლო თუ უსულგულო მოქმედების გამო, შეიჭრება შენს ორგანიზმში რაღაც მიკროსკოპული ზომის ვირუსი და მორჩა, ყველაფერი გათავდა. მისი განკურნება შეუძლებელია, მხოლოდ ავადმყოფის სიცოცხლის გახანგრძლივება შეუძლიათ რამდენიმე წლით...

აი, ჩემი სამშობლოც - საქართველო. ალბათ, გსმენია ჩვენ შესახებ. ქართველი ერი ისედაც მცირერიცხოვანია, სულ რაღაც 3 მილიონამდე, შიდსით დაავადება კი ჩვენში ყოველწლიურად კატასტროფულად იზრდება.

საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის 2002 წლის 12 ნოემბრის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებულია 356 შიდსის ვირუსით ინფიცირებული, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დღეს საქართველოში რეალურად 1500—ზე მეტი ვირუსით ინფიცირებული და შიდსით დაავადებულია. პაციენტთა უმრავლესობა 18-დან 40 წლამდეა. 52 კი უკვე გარდაიცვალა.

არადა, სად ჰყავს საქართველოს დასაკარგი შვილები?! თუმცა მთელი მსოფლიოს მეცნიერები უკვე მუშაობენ შიდსის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინის შექმნაზე, მაგრამ -“XX საუკუნის შავ ჭირად“ წოდებული ეს დაავადება დღემდე უკურნებელ სენად ითვლება.

მე კი... მე კი ძალიან მინდა ვუშველო ავადმყოფებს, დავუბრუნო მათ ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხალისი. სიცოცხლის, რომელიც ასე მშვენიერია.

სწორედ ამიტომ ვწერ ამ წერილს, ჩემო უცნობო მეგობარო! იქნებ გვირჩიო რამე ჩვენ, დედამიწელებს, გამოგვიგზავნო შიდსის საწინააღმდეგო წამალი.

გთხოვ, ჩემი წერილი უპასუხოდ არ დატოვო, გააცანი შენს პლანეტელებს და აუცილებლად მომწერე.

სიყვარულით - ელენე
პლანეტა- დედამიწიდან...



# 2004



# ოლიმპიური ნელია

## სად?

ეგეოსის ზღვაში ღრმად შეჭრილ პელოპონესის ნახევარკუნძულს ჩრიდილოეთიდან სამხრეთისკენ ტაიგეტისა და პარნონის ქედები კვეთს, იქიდან კი ერთ-ერთი მთიანი ხეობით ბარისკენ ეშვება მდინარე ალფერი, რომელიც ელიდის სანაპიროსკენ ისწრაფვის. იქ, სადაც ბობოქარი მდინარე ივაკებს და მდორედ მიედინება, მრავალი საუკუნის წინ გაშენებული იყო ბერძნული ქალაქი ოლიმპია. ქალაქი, სადაც პირველი ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა.

## როდის?

ერთ-ერთი მითის თანახმად, ოლიმპიური თამაშები ზევსის მიერ ულმობელი და სასტიკი ქრონოსის ძლევის აღსანიშნავად დაწესდა. მეორე თქმულება თამაშების დამფუძნებლად ჰერაკლეს ასახელებს და სტადიონის საყოველთაოდ მიღებულ სიგრძესაც – 192, 27 მეტრს მის სახელს უკავშირებს. ამ მითის თანახმად, ერთ-ერთი თავისი გამარჯვების აღსანიშნავად გმირ ჰერაკლეს თავის ოთხ ძმას შორის მოუწყვია შეჯიბრება სირბილში, სარბენი ბილიკის სიგრძე კი 600 ტერფით განუსაზღვრავს (192,27 მეტრი). უფრო გავრცელებულია ოლიმპიური თამაშების შემოღების პირველი ვერსია – ეს სპორტული შეჯიბრება-დღესასწაული ზევსის პატივისაცემად დაწესდა ქალაქ ოლიმპიაში.

## საკუთრივ ისტორია

ჩვენთვის ცნობილი პირველი ოლიმპიური თამაშები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს ჩატარდა და მას შემდეგ 1170 წლის განმავლობაში რეგულარულად იმართებოდა 1417 დღის ინტერვალით. თამაშები ივნისის ბოლოს – ივლისის დასაწყისში იმართებოდა და ხუთ დღეს გრძელდებოდა.

იმისათვის, რათა მონაწილეებსა და მაყურებლებს საშუალება ჰქონოდათ უვნებლად მიეღწიათ ოლიმპიურ სტადიონამდე, საბერძნეთის ყველა მეომარ სახელმწიფოს სამი თვით ზავის ჩამოგდება ევალებოდა. თამაშების პოპულარობა იზრდებოდა და შესაბამისად ფართოვდებოდა მათი სპორტული პროგრამა. პირველ სახეობას სრულად აღჭურვილი მეომრების სირბილს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი შეემატა. სირბილს 192 მეტრზე დაემატა სირბილი „დიაული“ ანუ სირბილი ორმაგ დისტანციაზე – 384,54 მეტრზე. მოგვიანებით ათლეტები ხუთჭიდსა და სტაიერულ დისტანციაზე, 24 სტადიის ანუ 4715,5 მეტრის სიგრძეზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

მალე მსაჯთა საბჭომ თამაშების პროგრამაში საბრძოლო ორთვალა ეტლებით შეჯიბრებაც შეიტანა, მოგვიანებით კი ოლიმპიურ სტადიონზე მუშტი-კრივის ბრძოლებიც გაიმართა.

გამარჯვებულ ოლიმპიელებს პალმის და თეთრი ბაფთებით მორთული გარეული ზეთის ხილის შტოთი აჯილდოვებდნენ. მათ დიდ პატივს სცემდნენ, შინ დაბრუნებულ გმირებს ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ, მშობლიურ ქალაქში ისინი ოთხცხენშებმული საბრძოლო ეტლით შედიოდნენ.

პირველი ოლიმპიელი გმირების სახელებმა ჩვენამდეც მოაღწია. ქ. როდოსის მკვიდრს ლეონიდეს თორმეტჯერ გაუმარჯვნია ერთ სტადიონზე აღჭურვილობიან სირბილსა და ორმაგ სტადიონზე სირბილში; სპარტელ ექიონეს, ოთხი ოლიმპიური თამაშების შეიდგზის გამარჯვებულს სამმაგ ხტომაში 52 ტერფი ანუ 16,66მ. დაუძლევია; კიდევ ერთ როდოსელს, მილონს ზღაპრული ღონით გაუთქვამს სახელი. ერთხელ მას ხარი მოუგდია ბეჭებზე და ისე შემოურბენია სტადიონი.

გადიოდა წლები, ათწლეულები, საუკუნეები და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოლიმპიური თამაშები დავიწყებას მიეცემოდა, მაგრამ რომის იმპერატორმა თეოდოსიუს II-მ, რომელმაც კერპთაყვანისმცემლობას ბრძოლა გამოუცხადა, ოლიმპიის დანგრევა ბრძანა. იმპერატორის ბრძანება შესრულებული იქნა, ჩვენი წელთაღრიცხვის 426 წელს ოლიმპია დაწვეს, განადგურდა უამრავი ძეგლი, ნაგებობა, ტაძარი, ქანდაკება, აღიგავა მიწისაგან პირისა სტადიონიც.

## აღორძინება

მრავალმა საუკუნემ განვლო, ვიდრე ფრანგი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და მეცნიერი პიერ დე კუბერტენი კაცობრიობას ოლიმპიური თამაშების აღორძინების იდეას შესთავაზებდა. 1889 წელს საფრანგეთის მთავრობამ კუბერტენს საერთო ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა-გამოკვლევა დაავალა, 1892 წელს კი სპორტის მესვეურმა პედაგოგმა სორბონის უნივერსიტეტში წაიკითხა მოხსენება „ოლიმპიური თამაშების აღორძინება“. დარბაზი აღტაცებული შეხვდა უძველესი სპორტული თამაშების აღორძინების იდეას. მომდევნო წელს კი საფრანგეთის დედაქალაქში გაიმართა საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

## უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად!

პარიზის საერთაშორისო კონგრესზე აირჩიეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) 12 წევრის შემადგენლობით. შემუშავდა და დამტკიცდა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ძირითადი წესები და დებულებები (ოლიმპიური ქარტია). ოლიმპიურ

ქარტიაში კერძოდ ნათქვამია: თამაშები „... პატიოსან და თანასწორუფლებიან შეჯიბრებებში აერთიანებს ყველა ქვეყნის მოყვარულ სპორტსმენებს. ქვეყნებისა და ცალკეულ პირთა მიმართ არ დაიშვება არანაირი დისკრიმინაცია, რასობრივი, რელიგიური თუ პოლიტიკური მოტივებით".

ოლიმპიური თამაშების ალამი თეთრი ფერის დროშაა, მასზე გამოსახულია სხვადასხვა ფერის ერთმანეთზე გადაჭდობილი ხუთი რგოლი – ხუთი კონტინენტის სიმბოლო. სოკ-მა ოლიმპიური დროშა კუბერტენის წინადადებით 1913 წელს დაამტკიცა, 1920 წლიდან მოყოლებული. მას ყველა ოლიმპიურ თამაშებზე აღმართავენ. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის სახეობები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეაქვთ, იმ შემთხვევაში, თუ ის გავრცელებულია ორი-სამი კონტინენტის არანაკლებ 20-25 ქვეყანაში (ზაფხულის სახეობები მამაკაცებისათვის – სამი კონტინენტის არანაკლებ 40 ქვეყანაში).

Citius, Altus, Fortus! („უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად!") – ასეთია აღორძინებული ოლიმპიური თამაშების დევიზი.

1928 წლიდან დამკვიდრდა თამაშების კიდევ ერთი ტრადიციული ატრიბუტი – ოლიმპიური ცეცხლი. ოლიმპიურ ჩირაღდანს ოლიმპიაში მზის სხივებით უკიდებენ ცეცხლს და მერე ის ესტაფეტით ჩააქვთ მორიგი ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნაზე, სადაც ის ოლიმპიურ სტადიონზე აღმართულ სპეციალურ თასში თამაშების დახურვამდე ანთია.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების სულისჩამდგმელი პიერ დე კუბერტენი 1937 წელს გარდაიცვალა და ლოზანაში განისვენებს, მისი გული კი დაკრძალულია თამაშების სამშობლოში, ბერძნულ ქალაქ ოლიმპიაში. კუბერტენის საფლავის მარმარილოზე ამოკვეთილია სიტყვები: „ვიდრე ის ცოცხალი იყო, მისი გული ამ უძველესი ადგილისთვის ძგერდა, ახლა კი მან სამუდამო განსასვენებელი ოლიმპიაში ჰპოვა".

პირველი განახლებული ოლიმპიური თამაშები გაიმართა 1896 წელს ათენში, მომდევნო, II თამაშები – 1900წ. პარიზში, მესამე თამაშები – 1904 წ. სენტ-ლუისში. და ასე შემდეგ ოთხი წლის ინტერვალით. არ გამართულა ოლიმპიური თამაშები 1916 წელს (VI), 1940 წელს (XII) და 1944 წელს (XIII). თუმცა ქარტიის თანახმად, რიგითი ნომრები მათ მაინც მიიღეს.

## ჩვენები ოლიმპიურ თამაშებში

საქართველოს სპორტსმენები რეგულარულად მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრებების შემადგენლობაში. ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი, მათ შორის ოქროსიც, ჩვენს მოჭიდავეებს აქვთ მოპოვებული. მათგან სხვადასხვა თამაშებზე თავი ისახელეს დავით ციმაკურიძემ, გივი კარტოზიამ, მირიან ცალქალამანიძემ, ვახტანგ ბლაგიძემ, ლევან თედიაშვილმა, შოთა ხაბარელმა, შოთა ჩოჩიშვილმა და სხვებმა.

ოქროს ასოებით ჩაიწერა ოლიმპიურ მატიანეში საქართველოს წარმომადგენლის ვიქტორ სანეევის სახელი, რომელმაც სამ თამაშებზე მოიპოვა უმაღლესი სინჯის მედალი




(სამხტომი), ორი ოლიმპიური ოქროს მფლობელია ჩვენი ბეჭდაუდებელი მოჭიდავე ლევან თედიაშვილი. მათ გარდა საქართველოს ოლიმპიურ ოქრომედალოსნებს შორის არიან რაფიელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა), მზია ჯუღელი (ტანვარჯიში), ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა), რობერტ შავლაყაძე (სიმაღლეზე ხტომა), ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი), ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა), ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი), მიხეილ ქორქია (კალათბურთი), ვიქტორ კრატაისიუკი (ნიჩბოსნობა), ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი) და სხვები.

## ოლიმპიური თამაშები სამშობლოში ბრუნდება

სოკ-ის გადაწყვეტილებით მორიგი ოლიმპიური თამაშები საბერძნეთში, ათენში გაიმართება. ოლიმპიადა – 2004 ექვს თვეში, 13 აგვისტოს, პარასკევს აიღებს სტარტს და 29 აგვისტომდე გაგრძელდება. თამაშებში მსოფლიოს 201 ქვეყნის 10500 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრებები სპორტის 28 სახეობაში 32 ოლიმპიურ არენაზე გაიმართება. საწვრთნელი ვარჯიშები კი – ქვეყნის ხუთი ქალაქის 72 ობიექტზე.

თამაშების მიმდინარეობის 16 დღეში შედგება მედლებით დაჯილდოების 301 ცერემონია.

ამჟამინდელი ოლიმპიურ თამაშებს განსაკუთრებული ისტორიული შარავანდედი ახლავს თან. გარდა იმისა, რომ ისინი უძველესი ელადის მიწაზე გაიმართება, შეჯიბრება სპორტის ზოგიერთ სახეობაშიც იქ ჩატარდება, სადაც მრავალი საუკუნის წინათ ტარდებოდა. მაგალითად, მარათონელები იმავე გზით ირბენენ, რომლითაც ისარგებლა უცნობმა მეომარმა მარათონთან ბერძნების მიერ სპარსელთა ძლევის ამბავი რომ მიეხარებინა ათენელებისათვის და ათენთან სპარტელთა დესანტის გამოჩენის შესახებ გაეფრთხილებინა ისინი.

მომავალ ოლიმპიურ თამაშებს მასმედიის 21500 წარმომადგენელი გააშუქებს, ტელეეკრანებზე კი მათ 4 მილიარდი ადამიანი გაადევნებს თვალს. სხვადასხვა ოლიმპიურ შეჯიბრებაზე დასასწრებად დაიბეჭდება 5,3 მილიონი ბილეთი. უსაფრთხოებას თამაშებზე 45 ათასი ბერძენი პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სპეციალური სამსახურების თანამშრომლები დაიცავენ. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საბერძნეთმა დაახლოებით 600 მილიონი დოლარი გამოყო.

ოლიმპიურ სოფელში (ასეთი სოფლის აშენება თამაშების მასპინძელი ქვეყნის მოვალეობაა) 10 ათასი სპორტსმენი და ოლიმპიელი მოხელე იცხოვრებს, სოფელში 2292 აპარტამენტი, 8814 ოთახი და 17428 საწოლი იქნება.

ასი ათასობით ბერძენმა უკვე გამოთქვა სურვილი თავისი ნებით, უსასყიდლოდ მოემსახურონ ოლიმპიადას, იმუშაონ გიდებად, ბილეთების კონტროლიორებად, ტურისტებისა და სპორტსმენების დამხმარეებად.

ემზადებიან ოლიმპიური თამაშებისათვის ქართველი სპორტსმენებიც, რომლებიც ოლიმპიურ სარბიელზე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით გამოვლენ. ბევრმა მათგანმა უკვე მოიპოვა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის აუცილებელი ლიცენზია, სხვები ამას უახლოეს მომავალში გამართულ ჩემპიონატებსა და ტურნირებზე შეეცდებიან. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი სპორტული დელეგაცია მრავალრიცხოვანი იქნება და წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ოლიმპიელებს.

23272



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყანას ღირსეულ ადამიანებს უზრდიან



ქალაქ ჯვარის მელიტონ ქანთარიას სახელობის №1 საშუალო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო წალენჯიხის რაიონში, არამედ მთელ საქართველოში, საუკეთესო ხელმძღვანელად არის აღიარებული მისი დირექტორიც, ქალბატონი თამარ ქანთარია, რომელსაც გასულ სასწავლო წელს ოფიციალურად მიენიჭა „წლის საუკეთესო დირექტორის“ წოდება.

ქალბატონ თამარის პედაგოგიური სტაჟი ნახევარსაუკუნეზე მეტს ითვლის. მოღვაწეობა სულ ახალგაზრდამ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო წალენჯიხის რაიონის სოფელ ოჭანეს დაწყებით სკოლაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს სოფელ ეწერის (ყოფილი ორჯონიკიძის) რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ იმუშავა, მერე – სოფელ ფახულანის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, 1955 წელს გადაიყვანეს ჯვარის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, 1980 წლიდან მოყოლებული კი, იგი ამავე სკოლის დირექტორი გახლავთ.

ნებისმიერი სკოლის ავკარგიანობა, მისი პედაგოგიური კოლექტივის პროფესიული დონე, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობა პირველ რიგში დამოკიდებულია დირექტორზე. ალბათ ამიტომაც მოეთხოვება მას იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ნებისმიერი სხვა დაწესებულების ხელმძღვანელს. იმისათვის, რათა სკოლის დირექტორის უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობებს გაართვას თავი, ადამიანი პირველ რიგში მოწოდებით პედაგოგი უნდა იყოს, მას სრულად უნდა ჰქონდეს გასიგრძეგანებული მასწავლებლის, სკოლის დანიშნულება, იგი უნდა იყოს მკაცრი, მაგრამ არა გულქვა, მას უნდა გააჩნდეს ზღვა მოთმინება, თითოეული ბავშვისათვის სამყოფი სიყვარული, სითბო, უშრეტი ენერგია, ახლის შეგრძნება-აღქმის უნარი, ბავშვების გულებისა და გონების წვდომის ნიჭი, ორგანიზატორული მუშაობის უნარ-ჩვევები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თამარ ქანთარიას უხვად აქვს მომადლებული ყველა ეს და კიდევ ბევრი, აღზრდა-განათლების საქმის ხელმძღვანელისთვის აუცილებელი თვისება, თუ უნარ-ჩვევა. ქალბატონ თამარის მეუღლეც პედაგოგი გახლდათ. ბატონ დავით ფიფიას და ქალბატონ თამარ ქანთარიას ოჯახი მთელი სოფლისთვის ყოველთვის იმ მანათობელი ვარსკვლავივით იყო, ადამიანებს ცხოვრების სავალ გზას რომ უჩვენებს და უცისკროვნებს. დღეს ჯვარის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი აწ განსვენებული დავით ფიფიას სახელს ატარებს, ასე უკვდავყო სკოლამ იმ დიდებული მასწავლებლის ღვაწლი, რომელმაც არა ერთი სახელოვანი თაობა გაუზარდა ქვეყანას. მასწავლებლობა აირჩია ქალბატონ თამარისა და ბატონ დავითის უფროსმა ქალიშვილმა ქეთევან ფიფიამ. ღირსეული დედ-მამის ღირსეული შვილები არიან რუსუდან და დარეჯან ფიფიებიც.

115 წლის სკოლის მატიანეში ბედნიერ, ნათელ დღეებთან ერთად სირთულეებისა და ძნელბედობის ხანაც არის აღნუსხული. ამ ათი-



თორმეტი წლის წინ საქართველოში ატეხილმა ძმათამკვლელმა ომმა, ათასი ჯურის მოთარეშე დაჯგუფებებმა, საყოველთაო ქაოსმა სამეგრელოსაც მტკივნეული კვალი დაატყო. განუკითხაობის მსახვრალი ხელი არც წალენჯიხას და ჯვარს ასცდა, – დაიხურა, გაიძარცვა და გაპარტახდა ყველა წარმოება-დაწესებულება, ზღვარგადასულმა მომიტინგეებმა სკოლის დახურვაც მოითხოვეს, მაგრამ მისი დირექტორის და პედკოლექტივის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. როგორც კრუხი იცავს ქორისაგან თავის წიწილებს, ისე იცავდა თამარ ქანთარია სკოლას, მოსწავლეებს. ერთი დღეც არ შეწყვეტილა სწავლა, ერთი სკამი რა არის, ისიც არ დაჰკლებიათ. მარტო ის იყო, რომ ფანჯრის მინებმა ტანკების გრუხუნს და ავტომატების გრიალს ვერ გაუძლო, მაგრამ ქალბატონი თამარი დატრიალდა და სულ მალე გამონახა ორგანიზაცია, რომელმაც სკოლის შენობაში ჩამტვრეული ყველა მინა ჩასვა. მერე და მერე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა და ჯვარის №1 სკოლის სადაგი დღეებიც ჩვეულებრივი რიტმით წარიმართა.

გამოხდა ხანი და ქვეყნის განათლების სისტემაში რეფორმები დაიწყო, სკოლის წინაშე ახალი, მომავალზე ორიენტირებული ამოცანები დაისახა. თამარ ქანთარია, სკოლის პედაგოგები ჩვეული ენერგიით, პასუხისმგებლობით შეუდგნენ სიახლეების დანერგვა-გატარებას.

„სწავლების ახალი მეთოდების დანერგვამ დიდი ძალისხმევა მოითხოვა ჩვენგან, სასკოლო რეფორმამ სკოლა ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. დღევანდელობის მთავარი მოთხოვნაა სწავლებისადმი ახალი მიდგომა, ყოველმხრივ მომზადებული, ერუდირებული, შემოქმედი და პროფესიონალი მასწავლებელი, რომელიც უბრალოდ გარკვეულ ცოდნას კი არ უნდა გადასცემდეს მოსწავლეებს, არამედ ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოსაყენებლად უნდა ამზადებდეს მათ, კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას უნდა ასწავლიდეს, მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობა ნდობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე უნდა იყოს აგებული.

ამ ამოცანის ღირსეულად შესრულებაზე ვართ ორიენტირებულები ყველანი, თითოეული ჩვენგანი, მთელი ჩვენი კოლექტივი. ჯვარის №1 საშუალო სკოლაში ორგანიზებული მასწავლებელთა საწვრთნელი მეცადინეობებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება“ – ამბობს ქალბატონი თამარ ქანთარია.

წვრთნების პროგრამით გათვალისწინებულ მეცადინეობებს, რომლებიც ჯვარის №3 და სოფელ ლიის საშუალო სკოლების მასწავლებლებთან ერთად მ. ქანთარიას სახელობის №1 სკოლის ბაზაზე ტარდება, უნარიანად უძღვება განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ქალბატონი მედეა სამსონია. პროფესიული განვითარების ტრენინგ-პროგრამის შესაბამისად აგებული მეცადინეობების პირველი სასიკეთო შედეგები უკვე სახეზეა. სკოლის პედაგოგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი წარმატებით იყენებენ ახალ მეთოდებს.

სწავლების პროცესში სიახლეებზე საუბრობს მუშა ჯგუფის წევრი და კოორდინატორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მანანა ქარდავა: „თითოეულ გაკვეთილზე ვცდილობ საფუძვლიანი ცოდნა მივცე ბავშვებს, შევაჩვიო ისინი კრიტიკულ აზროვნებას, მსჯელობას და ანალიზის უნარს. გაკვეთილებზე ფართოდ ვიყენებთ ჯგუფური და წყვილებში მუშაობის მეთოდებს. ამ გზით მოსწავლეები ეჩვევიან თანამშრომლობას, საკუთარი აზრის გამოთქმას, სხვისი აზრის გაზიარებას და კრიტიკულ შეფასებას, სწავლობენ დროის რაციონალურად გამოყენებას, ფუნქციების განაწილებას. ყოველივე ამის შედეგად ისინი საკუ-

გაგრძელება მე-19 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარ შესაძლებლობებში რწმუნდებიან და შესაბამისად იზრდება მათი აქტიურობაც.

მოსწავლეები დიდი ხალისითა და ინტერესით ადგენენ და ავსებენ კროსვორდებს, აკეთებენ ჩანახატებს სურათების მიხედვით, ასწორებენ შეცდომებიან ტექსტებს, აგრძელებენ მოთხრობებს, ადგენენ თხზულებებს ამა თუ იმ საკითხებზე, თამაშებში აქტიურად იყენებენ ლექსიკონს. და ა.შ."

სიახლეების დანერგვა იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სკოლაში უარს ამბობენ სწავლა-აღზრდის ნაცად მეთოდებზე. სასურველ შედეგს აქ სწორედ ძველისა და ახლის გონივრული შეხამებით აღწევენ, ამგვარი გააზრებული, შემოქმედებითი მუშაობის შედეგისთვის დაიმსახურა №1 სკოლამ გრანტი – 1000 დოლარი, რაც უდიდესი სტიმული გახდა ყველასთვის, თითოეული მასწავლებლისთვისაც და მოსწავლისთვისაც. ამ ჯილდომ მარტო იმიტომ კი არ გაახარა ისინი, რომ ამ თანხით სკოლისთვის ბევრი სასიკეთო რამე გაკეთდება, არამედ იმიტომაც, რომ გრანტი მათი მუშაობის ხარისხის შეფასების გამოხატულება გახლავთ. წარმატებით ფრთაშესხმულები, ახალი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად იკაპიწებენ მკლავებს.

სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვების შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას. შემოქმედი მოსწავლე კი აქ ბევრი ჰყავთ, მათ შორის გამოირჩევიან ელისო ჩხაპელია, თამარ კვარაცხელია, მარინე ქარდავა, სოფიკო გოგოხია, ციური ქარდავა, ბექა გოგილავა, ქეთო ჭანტურია, იზა სამუშია, ქართლოს მარხულია, თათია გობეჩია, ლანა ჭანტურია და სხვები.

„სასკოლო რეფორმიდან გამომდინარე, ვმუშაობთ სკოლაში სამეურვეო საბჭოს ასამოქმედებლად. 11 კაციანი საბჭო, რომლის შემადგენლობაში მშობლებიც არიან, დასაყრდენი უნდა გახდეს სკოლის გარდაქმნა-მოდერნიზებისკენ მიმართულ საქმიანობაში. იმედს, რომ მოკლე დროში შევძლებთ სკოლის კომპიუტერიზაციის და თვალსაჩინო მასალების ბაზის შექმნას, ჩვენ მიერ მოპოვებული გრანტიც გვაძლევს – საუბრობს ქ-ნი თამარ ქანთარია, – დრომ, გარდაქმნებმა, ქვეყანაში შექმნილმა საერთო ვითარებამ საზოგადოებას სკოლის მხარში დგომა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვაში მისი დახმარება მოსთხოვა.

ვიმედოვნებთ, რომ თანადგომა არ მოგვაკლდება და ჩვენ ერთად გავართმევთ თავს საპასუხისმგებლო ამოცანებს. ჯვარის №1 საშუალო სკოლამ არა ერთი ღირსეული ადამიანი აღუზარდა ქვეყანას, ჩვენი კურსდამთავრებულების უმრავლესობა კარგი მოქალაქეები, კარგი ადამიანები არიან და ჩვენ დამსახურებულად ვამაყობთ მათით, რადგანაც გვწამს, რომ საკმაოდ დიდი წვლილი მიგვიძღვის მათ აღზრდა-განათლებაში, პროფესიონალებად, მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში. ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომელიც ძველი თაობის გამოცდილ მასწავლებლებთან ერთად ბევრ ახალგაზრდა პედაგოგსაც აერთიანებს, კვლავაც უდიდესი პასუხისმგებლობით, საკუთარი შრომის მნიშვნელობის შეგნებით ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საპატიო და ძნელ საქმეს".

# ხალხურ საუნჯეზე ზრუნვით

წალენჯიხის რაიონის ქ. ჯვარის მ. ქანთარიას სახელობის №1 საშუალო სკოლის VIII ბ კლასელები უკვე მეოთხე წელია ჩაბმული ვართ მხარეთმცოდნეობით მუშაობაში. კლასში 26 მოსწავლე ვართ და თითოეულს ჩვენ – ჩვენი სამუშაო გვაქვს. სულ სამი სექცია მუშაობს: ფოლკლორისტიკის, ეთნოგრაფიის და ტოპონომიკის. სამი წლის მანძილზე შევაგროვეთ ქალაქში და მის შემოგარენში გავრცელებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები: შრომის, საყოფაცხოვრებო, საგმირო და სახასიათო ლექსები და სიმღერები, აგრეთვე ზღაპრები, გამოცანები, ბრძნული გამონათქვამები, შელოცვები, თამაშობები, ლეგენდები კეთილ არამხუტსა და ბოროტ ოჩოკოჩზე. მასალები ჩავიწერეთ ქალაქის უხუცესი ადამიანებისაგან, რომელთა შორის ერთი, მარუსია გოგილავა-ქუხილავა 103 წლისაა. ეს ქალბატონი მთელ რაიონშია ცნობილი ნაბდის დამზადებით, მეაბრეშუმეობით, არაჩვეულებრივი მეგრული დიასახლისობით და მეგრული სიმღერების საუკეთესო შესრულებით. თავისი ნახელავი რამდენიმე ნაბადი მარუსია ბებიას მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე გაუგზავნია მეომრებისათვის. კარგა ხნის წინ ჩვენი სკოლის მეშვიდეკლასელმა მოსწავლემ მ. ფიფიამ მარუსია ბებიას დახმარებით დაამზადა ნაბადი და ამ ნაბდით მონაწილეობა მიიღო ნორჩ ეთნოგრაფთა და ანტროპოლოგთა VII მსოფლიო კონგრესის მუშაობაში, მან ცნობილი მეცნიერის ტურ ჰეიერდალის მოწონება და აღიარება დაიმსახურა. სამწუხაროდ, მარუსია ბებიას გარდა ჯვარში დღეს აღარავინ ფლობს ნაბდის დამზადების ხელოვნებას. მარუსია ბებიამ ჩაგვაწერინა დამზადების წესები და შეგვპირდა, რომ მატყლს თუ მივუტანთ, დაგვამზადებინებს კიდეც ნაბადს. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით ასეთი შემთხვევა ხელიდან არ გავუშვათ და ამ კარგი ტრადიციის ამღორძინებლები გავხდეთ.



ორი წლის წინ მოსწავლეთა 56-ე შემოქმედებით კონფერენციაზე წარვადგინეთ ჩვენ მიერ შეგროვებული მასალებით შედგენილი ხელნაწერი ჟურნალი „ჩვენი სოფლის მარგალიტები", რომელმაც ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა და ჩვენ სათანადოდაც დაგვაჯილდოვეს. ყოველივე ამას კი შედეგად მოჰყვა ჩვენი სკოლის დაჯილდოება 1000 დოლარიანი გრანტით, წარმატებამ სტიმული მოგვცა და უფრო გულმოდგინედ შევუდექით მუშაობას. ჩვენი სკოლა 115 წლისაა და გადავწყვიტეთ შევისწავლოთ სკოლის პირველი გამოშვებიდან მოყოლებული, ყველა კურსდამთავრებულის საქმიანობა, გავიცნოთ გამოჩენილი ადამიანები, თავი მოვუყაროთ მათ მეცნიერულ თუ ლიტერატურულ ნაშრომებს, ხელოვნების ნიმუშებს, ძირძველი ჯვარელების გენეალოგიას. ვფიქრობთ, ჩვენი საქმიანობა მაგალითის მიმცემი გახდება ჩვენი შთამომავლობისათვის და მომავალი თაობებიც განიმსჭვალებიან ჩვენი მხარის მეცნიერული, კულტურული, შრომითი, სპორტული ტრადიციების პატივისცემით, შთაუნერგავს სახელოვანი წინაპრების სიყვარულს, იმის შეგნებას, რომ იამაყონ ამ ღირსეული ადამიანების საქმიანობით და თვითონაც თავიანთი შრომითა და სწავლით სახელი და ღირსება შემატონ ქალაქის მატიანეს. ვფიქრობთ, ყველა ამ მასალის თავმოყრის შემდეგ გავხსნათ სკოლის მუზეუმი.

ჩვენი მუშაობა წლების მანძილზე გაგრძელდება. შევეცდებით, რომ არავინ და არაფერი გამოგვრჩეს, ყველას და ყველაფერს მოვეფეროთ, მივუჩინოთ სათანადო ადგილი და ჩვენი მოკრძალებული შრომით პატივი ვცეთ ჩვენს საყვარელ წინაპრებს. ჩვენი ხელმძღვანელი და დამკვალიანებელი ამ საქმიანობაში ჩვენი საყვარელი მასწავლებელი ზაირა ეფსაია გახლავთ, ის არის ყველა ჩვენი წამოწყების სულისჩამდგმელი, ჩვენი მრჩეველი და თანამოაზრე. ჩვენ სკოლის დამთავრებამდე გავაგრძელებთ მუშაობას, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და გვჯერა, რომ შემდგომი თაობები ღირსეულად გააგრძელებენ მას.



ქ. ჯვარის №1 საშუალო სკოლის
VIII ბ კლასის მოსწავლეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორი ხასიათი გაქვს?

ფსიქოლოგები ექვს სიტუაციასა და თითოეული მათგანის დროს მოქმედების სამ ვარიანტს გთავაზობენ. ყურადღებით წაიკითხე, ოქმედების სამივე შესაძლო ვარიანტსაც გაეცანი და მათგან ერთი ამოირჩიე. არჩეულ ვარიანტს „+“ დაუწერე. ასე მოიქეცი ექვსივე სიტუაციაში.

***1. დაბადების დღეზე ისეთი რამ გაჩუქეს, რაც უკვე გაქვს. როგორ მოიქცევი?***

ა. მადლობას გადავიხდი, მერე კი ამ საჩუქარს სხვას ვაჩუქებ.

ბ. მაშინვე ვიტყვი, რომ უკვე მაქვს ასეთი ნივთი.

გ. არაფერს ვიტყვი, უბრალოდ, შევინახავ საჩუქარს.

***2. გაკვეთილზე ერთმა შენმა თანაკლასელმა მეორეს ბარათი გაუგზავნა, რომელსაც აწერია: „არ გახსნათ!“ ბარათი შენ ჩაგივარდა ხელში. როგორ მოიქცევი?***

ა. ჩუმად წავიკითხავ და ისე გადავცემ. ხომ უნდა ვიცოდე რა წერია შიგ.

ბ. მაშინვე გადავცემ. ბარათის წაკითხვას არ ვაპირებ.

გ. რა თქმა უნდა, გადავცემ, ოღონდ გაკვეთილის შემდეგ. ხომ შეიძლება მასწავლებელმა შემამჩნიოს და წამართვას. სარისკოა.

***3. მასწავლებელმა, რომელიც ცუდი თვალით გიყურებს, გადაწყვიტა თავის საგანში სასკოლო კონკურსი ჩაატაროს: შენ რეალური შესაძლებლობა გეძლევა, „ტექნიკური“ დახმარება გაუწიო მასწავლებელს (სასკოლო ოთახის მომზადება, ბარათების გადაწერა და ა.შ.) და ხუთიანი გაინაღდო. როგორ მოიქცევი?***

ა. უარს ვიტყვი, არც მასწავლებელი მიყვარს და არც მისი საგანი. რისთვის მოვიკლა თავი?

ბ. ცხადია, დავეთანხმები, თუ შესაძლებელია, რატომაც არ „დავირტყა“ ხუთიანი. მასწავლებელთან ურთიერთობასაც ხომ გავიუმჯობესებ.

გ. პრინციპული მოსაზრებით უარს ვიტყვი. მოსახდენი უნდა მოხდეს.

## ტესტი

***4. დასვენებაზე ერთ-ერთი თანაკლასელი ანეკდოტს ყვება. შენ კი უკვე იცი იგი. როგორ მოიქცევი?***

ა. არ შევიმჩნე, რომ უკვე ვიცი, რატომ გავუფუჭო მთხრობელს გუნება?

ბ. რა თქმა უნდა, ვიტყვი, შენი ანეკდოტი მოძველდა-მეთქი.

გ. ალბათ, შევაწყვეტინებ და თვითონ გავაგრძელებ ანეკდოტს.

***5. მეზობელ ქუჩაზე აღმოაჩინე ტელეფონი-ავტომატი, რომლითაც შეიძლება უმონეტოდ დარეკო. როგორ მოიქცევი?***

ა. სატელეფონო სადგურს შევატყობინებ.

ბ. მარტო თვითონ ვისარგებლებ ჩუმად ამ ტელეფონით, სხვას არავის ვეტყვი.

გ. რა თქმა უნდა, სხვებსაც ვეტყვი და ერთად დავრეკავთ ხოლმე, ყველას „გავაშაყირებთ“.

***6. რაღაც ნივთი დაგრჩა და გაკვეთილების შემდეგ ცარიელ კლასში დაბრუნდი. შემთხვევით შეუსწარი ამხანაგს, რომელიც სასკოლო ჟურნალში რაღაცას შლის. მან ვერ შეგამჩნია. როგორ მოიქცევი?***

ა. მასწავლებელს დავუძახებ. თუ ჩემი ამხანაგია, გავაჩერებ, გავაფრთხილებ არ ღირს ამის გაკეთება-მეთქი.

ბ. მივალ და ვნახავ, რას აკეთებს, ჩემს ნიშნებსაც შევამოწმებ ან უკიდურეს შემთხვევაში „ატანდაზე“ დავდგები.

გ. ჩუმად დავბრუნდები უკან, რად მინდა ხათაბალაში გავება.

**ახლა კი მიღებული ქულები:**

| პასუხები | ქულები | პასუხები | ქულები | პასუხები | ქულები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ა) | 2 | 2. ა) | 6 | 3. ა) | 10 |
| ბ) | 6 | ბ) | 10 | ბ) | 2 |
| გ) | 10 | გ) | 2 | გ) | 6 |
| 4. ა) | 10 | 5. ა) | 10 | 6. ა) | 6 |
| ბ) | 6 | ბ) | 2 | ბ) | 10 |
| გ) | 2 | გ) | 6 | გ) | 2 |

### თუ 16 ქულამდე დააგროვე

გულჩათხრობილი უფრო გეთქმის, ვიდრე გულღია. კუსავით „ბაკანში“ გირჩევნია ყოფნა. დიდ ნიჭს იჩენ ზუსტ მეცნიერებებში. არ გიყვარს ხმაურიანი საზოგადოება. ზოგჯერ სურვილი გიჩნდება, რაიმე კეთილშობილური საქმე წამოიწყო, მაგრამ ყოველთვის არ გამოგდის ეს.

### 7-27 ქულა

გუნება-განწყობილების ადამიანი ხარ. შეიძლება ლექსებსაც წერ, გიტარაზე უკრავ. ვითარების მიხედვით იალქნიანი გემივით წინ ისწრაფვი, ხან კი აპათიაში ვარდები. მეოცნებისა და რომანტიკოსის თვისებები გაგაჩნია. თუმცა განმარტოება გიყვარს. ზოგჯერ თანატოლების ხმაურიან წრეში ყოფნაც გინდება. კარგი იქნება, თუ საერთოდ მეტისმეტად სერიოზულად არ მოეკიდები საკუთარ თავს.

### 28-36 ქულა

ნებისმიერი საზოგადოების სული და გული ხარ. ამხანაგები კარგად გეკიდებიან. გრძნობებს, ემოციებს, განცდებს დიდი მნიშვნელობა აქვს შენთვის, თუმცა აქტიური, მყისიერი მოქმედების გარეშე გწყინდება. შეიძლება კარგი მეწარმე, ორგანიზატორი, მენეჯერი დადგე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ „ცუდ წრეში“ არ ჩავარდები. ასეთი საშიშროება კი სავსებით რეალურია შენთვის, იმიტომ რომ დისციპლინა მაინცდამაინც არ გიყვარს.

### 37-52 ქულა

როგორც წესი, პირველობას ეშურები, სპორტი იქნება ეს, სწავლა თუ უბრალოდ საზოგადოება. წყენას დიდი ხნით იტოვებ გულში. გინდა, აუცილებლად გაუდაუხადო მწყენინებელს სამაგიერო. საკმაოდ მიზანსწრაფული ხარ, იცი რა გინდა და დასახულის მისაღწევად გზებსაც პოულობ. ძალიან გიყვარს მბრძანებლობა, რამაც შეიძლება ცუდი სამსახური გაგიწიოს.

### 53 და მეტი ქულა

შეგიძლია ყველას დაუმეგობრდე. შეგიძლია ბევრი რამ აპატიო მეგობრებს, ამიტომაც უპრინციპო და უხერხემლო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. ძალა არ გყოფნის, საკმაოდ კრიტიკული იყო სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ. ხშირად მიჰყვები დინებას და სწორედ ესაა შენთვის მთავარი საშიშროება.

# რატომ ვამბობთ ასე?

**ტყემალზე ზის** – უვიცია, არაფერი გაეგება. მოგეხსენებათ, ტყემალს ხილეულში უკანასკნელი ადგილი უჭირავს, უკეთ, ხილად საერთოდ არ იხსენიება. მარტო ხილს დანატრებული ადამიანი თუ მოინდომებს ტყემლით პირის გასველებას, ხოლო როცა სხვა ხილიცაა და ამ დროს კაცი ტყემალზე ავა და თავსაც მოიტყუებს – ხილსა ვჭამო, და სხვასაც მოუნდომებს მოტყუილებას, იფიქრებენ, ეს კაცი ჭკუაზე ვერ არისო და პირში მიახლიან: ტყემალზე ზიხარო!

ამაღამ ტურა და მგელი ერთად დაწვებიან (ისე ცივა). – ძალიან ცივა, დაუძინებელ მტრებსაც კი დაავიწყდებათ ერთმანეთის მტრობა.

**უმზრახი წყალი** – უმანკო, ხელშეუხებელი. ხალხის აზრით, როცა სოფელში ყველა დაიძინებს, მთელი დღის დინების შემდეგ წყალიც ისვენებს, იძინებს დილამდე, სანამ ადამიანის ხმა არ შემოესმება, უმზრახად, წმინდად, უმანკოდ არის. ახალ წელიწადს, დილაადრიან, გლეხი (მეკვლე) ცდილობდა სახლში „უმზრახი წყალი" შეეტანა, – სიკეთე მოჰყვებაო.

**პირი-სახეზე ზეთი ჩამოსდის** – სულ დაღვრემილია, მოღუშულია.

**თაგვების სოროში შეათრევენ** – ითქმის ძალზე სუსტ, ბეჩავ, მიკნავებულ, უნებისყოფო ადამიანზე, რომელსაც ყველა ჩაგრავს და აბუჩად იგდებს.

**თელეთის გლახა** – უქონელი, უკანასკნელი მათხოვარი, სხვისი ხელის შემყურე. თელეთი მთაა თბილისის სამხრეთით. 23 აპრილს აქ იმართებოდა დღეობა (თელეთობა) და მლოცველებთან ერთად უამრავი მათხოვარიც იყრიდა თავს. ისინი მლოცველებს არ ასვენებდნენ და სანამ არ გაიკითხავდნენ, არ მოეშვებოდნენ.

**თქვენი გამყრელი ბარი და ნიჩაბია** – ერთმანეთს მხოლოდ სიკვდილი დაგაშორებთ. ასე ეტყვიან მოყვარულ ცოლ-ქმარს და ამით გამოხატავენ იმ აზრს, რომ ერთმანეთს არ დაშორდებიან მანამდე, სანამ ბარი და ნიჩაბი არ გახდება საჭირო სამარის გასათხრელად, ე.ი. სანამ არ მოკვდებიან ან ორივე ერთად ან ერთი.

**თხები აუშვა** – თავს მეტისმეტი თავისუფლება მიანიჭა, ზრდილობის წესები დაარღვია. იგულისხმება თხების საქციელი, როცა ისინი მოუკორტნავს არაფერს ტოვებენ. თხებს დადარებულია ადამიანი, რომელიც წესიერებისა და მართებულობის ყოველგვარ კანონს ივიწყებს.




დედაბოძი




ფანჯარა

# სიტყვის კონა



**თავფქვილა** – სულელი, ზერელე ჭკუის პატრონი, ჩურჩუტი.

**თანამკვდარი** – ვინმესთვის თავგანწირული.

**თარაქამა** – უზრდელი, ტლანქი, ანჩხლი, საძაგელი.

**ტიკსუსუნე** – ღვინის სმის მოყვარული, ლოთი.

**რჩხა** – კაპებიანი ჯოხი.

**სოვდაგარი** – დიდი ვაჭარი, ბითუმად მოვაჭრე.

**ჩაქურა** – გურულების, აჭარლებისა და მესხების ძველებური ტანსაცმელი – მოკლე წელზევითაა ჩოხა და ვიწროტოტებიანი, თავგანიერი, ხვანჯრიანი შარვალი.

**წალი** – ორი წლის თხა.

**წალიკი** – სიგრძივ ერთიმეორის მიყოლებით მიმავალი ოთხფეხი ან ფრინველი. წალიკად – გამწკრივებულად.

**ჭიჭკვი** – პატარა და მომცდარი ნედლი ტარო.

**ხარო** – ღრმა ორმო.

**ხრილი** – ფქვილის მტვერი (წისქვილის ქვებზე). ხეზე დადებული მშრალი თოვლი. ჩურჩხელაზე, ტკბილის კვერზე თეთრად მოდებული შაქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თუ ჯერ არ წაგიკითხავს**

# მიპატიჟება საიდუმლო კუნძულზე

ჟიულ ვერნი კუნძულზე დაიბადა, ოღონდ ჩვეულებრივ და სრულიად არასაიდუმლო კუნძულ ფეიდოზე, რომელიც ოდესღაც მდინარე ლუარას პროვინციულ ნანტზე გავლისას შეუქმნია. ბიჭი საათობით ადევნებდა თვალს იალქნიან თუ პირველი ორთქლმავალი გემების მიმოსვლას და ფიქრებში მათთან ერთად შორეულ ქვეყნებში მოგზაურობდა, რვეული კი თანატოლებისგან განსხვავებით, სახლების, ბაჭიებისა და ყვავილების გამოსახულებებით კი არ ჰქონდა სავსე, არამედ ფანტასტიკური საფრენი აპარატების სქემებით, უჩვეულო ხომალდების სილუეტებით. ოცნებას და ფანტაზიას ხან ჯუნგლებში გადაჰყავდა ბიჭი, ხან უკაცრიელ კუნძულზე; წარმოსახვაში იგი ხან მეკობრეებს ებრძოდა, ხანაც გონდოლით მოგზაურობდა დედამიწის გარშემო...

გამოხდა ხანი და ნაოცნებარნაფიქრალმა, წარმოსახულმა წიგნის ფურცლებზე შეისხა ხორცი. „საიდუმლო კუნძული“ გავიხსენოთ – ცაში ფრენა, რობინზონიადა, თავგადასავლები ჯუნგლებში და ზღვაზე, ბრძოლა სტიქიასთან, მეკობრეებთან შებმა, შეხვედრა იდუმალ კაპიტან ნემოსთან...

„საიდუმლო კუნძულს“ ჟიულ ვერნი ამიენში წერდა, სადაც პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ გადასახლდა პარიზიდან. მწერლის ეზო-კარს მაღალი მესერი ჰქონდა შემოვლებული, რომელიც ერთგვარად მიჯნავდა მის სახლს დანარჩენი სამყაროსგან. ის, ფეიდო, ნამდვილი კუნძული იყო, ბუნებრივი, ეს კი, ამიენი, შექმნილი, ხელოვნური. აი აქ ალმართული კოშკის მესამე სართულზე მოიწყო მწერალმა სამუშაო ოთახი, აქ, ამ საწერ მაგიდასთან იწყებოდა და მთავრდებოდა ყველა მისი არაჩვეულებრივი დაუსრულებელი მოგზაურობა.

„– მაღლა ვიწევთ?

– არა, პირიქით, ვეშვებით!

– უარესიც, მისტერ სმიტ, ვვარდებით!..“

ასე დინამიურად, სხარტად იწყება რომანი. ძლიერი ნორდოსტი აბობოქრებული ოკეანის თავზე მიაქროლებს საჰაერო ბურთს. ყველაფერს იცილებენ, ყველაფერს ყრიან – აღჭურვილობას, სურსათს, იარაღს. სულ ბოლოს ოკეანის ხახაში ფულით სავსე ტომარას – ათი ათას ფრანკს გადაუძახეს. რის მაქნისია, რად უნდათ ოქრო, როცა აეროსტატს დაღუპვა ემუქრება! ბოლოს მაინც ვარდნა და ოთხი ჰაერნაოსანი უცხო ნაპირზე აღმოჩნდება. მეხუთე მათგანი სადღაა, ინჟინერი სმიტი? ნუთუ დაიღუპა? და აი პირველი გამოცანა: საირუს სმიტი ვიღაცამ გადაარჩინა, ოკეანემ ჩანთქმა დაუპირა, მაგრამ ვიღაც უჩინარმა ნაპირზე გამოიყვანა იგი.

– საიდან დავიწყოთ? – ეკითხებიან საკუთარ თავს და ერთმანეთს უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილნი.

– სულ თავიდან, – პასუხობს საირუს სმიტი და იწყება საინტერესო თხრობა საიდუმლო კუნძულის შესახებ. რომანის გმირები – თავისუფალი, სამართლიანი, მშრომელი და მებრძოლი ადამიანები ამერიკაში აღმოაჩინა მწერალმა. ინჟინერი სმიტი, ზანგი ნაბი, ჟურნალისტი სპილეტი, მეზღვაური პენკროფი, ყმაწვილი ჰერბერტი, ჩრდილო-ამერიკელები არიან, ხოლო ამერიკელთა ეს ნაწილი სამოქალაქო ომში მონობის გაუქმებისათვის და შეერთებული შტატების ერთიანობისთვის იბრძოდა. უთუოდ შემთხვევით არ შეურჩევია ჟიულ ვერნს ასეთი ეკიპაჟი – ოთხი თეთრკანიანი, ერთი ზანგი, ხნიერი პენკროფი და ყმაწვილი ჰერბერტი. მან თითქოს მთელ კაცობრიობას მოუყარა თავი ამ ხუთეულის სახით იდუმალ ვულკანურ კუნძულზე. მთელი მსოფლიოს ფლორასა და ფაუნასაც შეგნებულად მოუყარა აქ თავი, თორემ განა შეეშლებოდა? რომც არ სცოდნოდა, საცნობარო ლიტერატურას მიმართავდა, ასე უხვად რომ იყო მის პირად ბიბლიოთეკაში.



გაგრძელება 23-ე გვ.

ცხადია, იცოდა, რომ სამხრეთ განედის 35 გრადუსზე მდებარე კუნძულზე ვერც იაგუარები იქნებოდა, ვერც ორანგუტანგები, და სმიტი და მისი მეგობრები ვერც როჭოს მოინადირებდნენ აქ. ბოტანიკაც შესანიშნავად იცოდა მწერალმა და გეოგრაფიაც. მაგრამ მას იმის შეხსენება უნდოდა კაცობრიობისათვის, რომ ყველანი ადამიანები ვართ. ხუთი ჰაერნაოსანი მთელ კაცობრიობას წარმოადგენს, ხოლო კუნძული, რომელსაც მათ დემოკრატ ლინკოლნის სახელი უწოდეს, მთელი მსოფლიოს სიმბოლოა.

ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, როგორ გვიყვება მწერალი ცივილიზაციის განვითარების ისტორიას. საიდუმლო კუნძულზე მოხვედრილი ჰაერნაოსნები ხახუნის გზით ანთებენ ცეცხლს, ფრინველზეც პრიმიტიული იარაღით – ჯოხით ნადირობენ. მერე მშვილდისარი გაჩნდა. ინჟინერმა სმიტმა მეთუნის ღუმელი გამართა, რკინა გამოადნო, კოლონისტებს შრომის იარაღი გაუჩნდათ – ნაჯახი, ჩაქუჩი, ხერხი...

ჟიულ ვერნმა ლინკოლნის კუნძულზე რამდენიმე წიგნის გმირები შეახვედრა ერთმანეთს. აქ ჰპოვა თავისი ბოლო ნავსაყუდელი კაპიტან ნემოს წყალქვეშა ნავმა „ნაუტილუსმა“ („80 000 კილომეტრი წყალქვეშ“) – აქვე დაბრუნდა 12 წლის შემდეგ იახტა „დუნკანი“, რათა ყოფილი კატორღელი აირტონი წაეყვანა, აქვე გაიცნეს ერთმანეთი კაპიტანმა რობერტ გრანტმა, ინჟინერმა საირუს სმიტმა და მისმა მეგობრებმა.

თქვენც კი შეგიძლიათ საიდუმლო კუნძულზე აღმოჩნდეთ, მისი კოორდინატები ცნობილია – აღმოსავლეთ გრძედის $150^{0}$ 3 და სამხრეთ განედის $34^{0}$ 57.

ხოლო ამისათვის მხოლოდ ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძულის“ გადაფურცვლაა საჭირო.






სიტუაცია

# ახალი სკოლა, ახალი თანაკლასელები...

გოგონების გვერდი



ვთქვათ, მოხდა ისე, რომ ახალ ბინაში გადასვლის თუ სხვა მიზეზის გამო სკოლის გამოცვლა მოგიხდა. ცხადია, ახალ სკოლაში შესვლა, უცნობი თანატოლების გარემოცვაში მოხვედრა იოლი არ იქნება. შენთვის ახალ კოლექტივს შენი მისვლის პირველივე დღეებში ჩამოუყალიბდება გარკვეული აზრი „ახალ მოსწავლეზე“ და იმთავითვე უნდა იცოდე, რომ ამ აზრის შეცვლა შემდეგში ძალიან ძნელი იქნება. ამიტომაც დიდი სიფრთხილე გმართებს, ახალ კლასში მომზადებულმა უნდა შედგა ფეხი და წამითაც არ უნდა დაგავიწყდეს უმთავრესი წესი — არამც და არამც არ გამოიჩინო აქტიურობა. ახლა კი უფრო დაწვრილებით ამ წესის შესახებ:

1. ნუ ეცდები პირველ დღეებში ვინმეს მეგობრობა შესთავაზო, დაელოდე. თანაკლასელები თვითონ გადმოდგამენ პირველ ნაბიჯს.

2. ეცადე შენი ჩაცმა-დახურვით არ გააღიზიანო თანაკლასელები, პირველივე დღეს გამორჩეულს, თვალში საცემს ნურაფერს ჩაიცვამ. დააკვირდი, რა და როგორ აცვიათ სხვა გოგონებს და ეცადე შენც ეს სტილი დაიცვა.

3. ზარი რომ დაირეკება, პირველ დღეს კლასში ბოლო შედი, დააცადე. ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიკავოს და მერეღა შეიგულე თავისუფალი მერხი. თუ სხვაგვარად მოიქცევი და პირველივე, შენთვის მოსაწონ ადგილზე დაჯდები, სხვის ადგილს დაიკავებ, ამ ადგილის პატრონის სახით აუცილებლად შეიძენ მტერს.

4. ნუ აფეთქდები, როცა დამხვდურები შენს „გამაყირებას“ მოინდომებენ, თავი შეიკავე და ეცადე ხუმრობით უპასუხო შენი მისამართით გამოთქმულ საქილიკო რეპლიკებს. გახსოვდეს, რომ ახალი თანაკლასელები გულმოდგინედ ადევნებენ თვალს შენს რეაქციას და თუ თავს ვერ მოთოკავ, დარწმუნებული იყავი, რომ შენს ბობოქარ რეაქციას შენი რეიტინგის ნულამდე დაცემა მოჰყვება.

5. არამც და არამც არ მისცე არავის შენი დამცირების უფლება! იცოდე — თუ ასეთი რამ პირველივე დღეებში მოხდება, „დამარცხებულისა და შეურაცხყოფილის“ როლის შეცვლა ძალიან გაგიჭირდება. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ „მტრის“ თავდასხმების მოგერიებას შეძლებ, აუცილებლად დაფიქრდი, გააანალიზე, რატომ დაგესხნენ თავს, რა იყო მიზეზი? შეიძლება, შენ კლასში მიღებული ნორმები დაარღვიე და ახალი თანაკლასელები გააღიზიანე.

6. შენი ყოფილი კლასი გაიხსენე, იქაც ხომ იყო ბელადი, რომელსაც თავისი ამალა ჰყავდა, იყვნენ „ნეიტრალურებიც“ და „უარყოფილებიც“, გარიყულებიც. გირჩევნია დასაწყისისთვის ახალ კლასში „ნეიტრალურებს“ მიემხრო, დაუახლოვდე რომელიმე მათ წარმომადგენელ გოგოს და მისი მეშვეობით გაიგე, როგორი ცხოვრებით ცხოვრობს კლასი, რა ინტერესები ამოძრავებს დანარჩენებს. თუ საკუთარ თავს ატყობ, რომ გიჭირს გოგონებთან კონტაქტის დამყარება, საქმიანი ურთიერთობით დაიწყე, ანუ გამოჰკითხე, ვთქვათ, მასწავლებლების შესახებ, ვინ როგორია, როგორ ცოდნას ითხოვს, როგორ სვამს ნიშნებს და ა.შ. გახსოვდეს, რომ როგორც წესი, ყველა ადამიანი ხალისით აბამს საქმიან ურთიერთობას და მაშასადამე, შენც უნდა გაგიმართლოს, ნუ ეცდები მლიქვნელობით, პირფერობითა და თავის დამცირებით კლასის „ავტორიტეტთა“ ყურადღება და ნდობა დაიმსახურო, ნურც სხვების ჩვევების გადაღებას შეეცდები.

კიდევ ერთი რჩევა — მაშინაც კი, თუ უსამართლობის მოწმე გახდები, თავს ნუ გამოიდებ განკიცხულების, უარყოფილების დასაცავად. შენ ხომ ახალი ხარ კლასში და საკუთარი წესების კარნახის უფლება არ გაქვს, შეიძლება იფიქრონ, რომ ახალი „ბელადის“ როლზე აცხადებ პრეტენზიას. გარდა ამისა, შენ ხომ ჯერ არ იცი ამ კლასში ჩამოყალიბებული ურთიერთობების წინარე ისტორია და ამდენად შეიძლება საკმაოდ სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდე.

7. საერთოდ, ასე ხდება — კლასში მოსული ახალი გოგონები თანაკლასელი ბიჭების გაძლიერებული ყურადღებით სარგებლობენ. ცხადია, ასეთი ყურადღება შენც გესიამოვნება, მაგრამ საპირისპირო სქესის მხრიდან შენდამი გამოჩენილმა ინტერესმა შეიძლება სამტროდ გადაგკიდოს მთელი კლასის გოგონები. გახსოვდეს: რაც უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენენ შენდამი ვაჟები, მით უფრო მეტად აგითვალწუნებენ თანაკლასელი გოგონები — შენ ხომ მათი კონკურენტი ხარ. ამიტომაც არ გირჩევთ, მაინცდამაინც დიდი ხალისით და მზადყოფნით აჰყვე ვაჟებს. შენ ხომ ჯერ არ იცი, ვის ვინ უყვარს, ვის სტკივა გული გაუზიარებელი გრძნობის გამო და შეიძლება შენდა უნებურად ვიღაცას ტკივილი მიაყენო.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა დაგეხმარება იმაში, რომ რაც შეიძლება სწრაფად ჩაეწერო ახალ კლასში, მოიპოვო თანაკლასელთა ნდობა და კეთილი განწყობა. წარმატება უზრუნველყოფილი გექნება, თუ რაღაცას კარგად აკეთებ ან რაღაცაში საუცხოოდ ერკვევი — ვთქვათ, კარგად უკრავ გიტარაზე ან ფორტეპიანოზე, ჩინებულად ცეკვავ, ბევრი იცი კინოს შესახებ, გაქვს სპორტული თანრიგი, ბევრს კითხულობ, მოკლედ, რაღაცით გამორჩეული ხარ.

საერთოდ კი უნდა იცოდე, რომ ახალ პირობებთან შეგუება ხანგრძლივი პროცესია, ახალ კლასთან შეჩვევა შეიძლება ერთ თვეზე მეტხანს გაგრძელდეს, ყველაფერი ისევ და ისევ შენზე იქნება დამოკიდებული.

გოგონების გვერდი

ერთი დღე სკოლაში

# ექვთიმე თაყაიშვილის გახსენება

აკადემიკოს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლე ახალგაზრდებთან ურთიერთობას, რადგან იციან, რომ ადამიანს სწორედ ადრეულ ასაკში უნდა გაუღვივო ინტერესი სხვადასხვა სახის მუზეუმებისადმი, იქ დაცული ხელოვნების ნიმუშებისადმი, კაცობრიობის ისტორიის, განვითარების ამსახველი ექსპონატებისადმი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მათ მიერ სხვადასხვა სკოლაში ჩატარებული მრავალფეროვანი კონკურსები, მუზეუმში ჩამოყალიბებული ხელოვნების მოყვარულ მოსწავლეთა წრე, რომელსაც ქალბატონი ცისანა კუხიანიძე ხელმძღვანელობს. მუზეუმის თანამშრომელთა სახით მეგობრები, დამხმარეები და გულშემატკივრები რომ ეგულებათ, იმიტომ მიიწვიეს ისინი საერო სკოლა „სარკმელში" ექვთიმე თაყაიშვილის სხოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე.

საღამოს ვესტუმრეთ ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების განყოფილების გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მზია კეცხოველი, მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები გულიკო ბარათაშვილი და ეთერ სულხანიშვილი.

სკოლაში მისვლისთანავე ყურადღება მივაქციეთ მოსწავლეთა საოცარ ორგანიზებულობას, ისინი ყოველგვარი მითითების გარეშე, უფროსების დაუხმარებლად ალამაზებდნენ დარბაზს. გემოვნებით გაფორმებულ სტენდზე გამოფენილი იყო ღვაწლმოსილი მეცნიერის და დიდი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის და მისი საქმის გამგრძელებელ მეცნიერთა ფოტოები. სამწუხაროდ, სასკოლო პროგრამა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა გაიცნონ შ. ამირანაშვილის, გ. ჩუბინაშვილის, ირ. სონღულაშვილის და სხვა მეცნიერთა მოღვაწეობა თუ სამეცნიერო ნაშრომები, თუმცა როგორც ჩვენ იმ დღეს დავრწმუნდით, სკოლის უფროსკლასელებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ მათზე.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სკოლის VII, VIII და IX კლასების მოსწავლეები. მეშვიდეკლასელებმა საღამოზე ექვთიმე თაყაიშვილის ყრმობასა და სიჭაბუკეზე ისაუბრეს, მისი პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ მერვეკლასელებმა მოუთხრეს დამსწრეთ. ემიგრაციის წლები მეცხრეკლასელებმა მიმოიხილეს, ხოლო მეცნიერის საქართველოში დაბრუნება, მოღვაწეობისა და ავადმყოფობის წლები, ბოლოს მასთან გამომშვიდობება და დიდუბის პანთეონში გაცილება სამივე კლასმა წარმოადგინა. მონტაჟი ისე იყო აგებული, რომ სცენაზე მოსწავლეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, იქმნებოდა იმგვარი შთაბეჭდილება, თითქოს ლევილში მყოფი ბატონი ექვთიმე თავის ბავშვობას იხსენებდა, ძმასა თუ მეგობარს ესაუბრებოდა, საქართველოში სწერდა წერილებს თავის საყვარელ მოსწავლეებს თუ მეგობრებს და ყოველივე ეს ისე ლამაზად იყო ერთმანეთზე გადაჯაჭვული და ერთ მთლიანობაში აკინძული, რომ გაგვიჩნდა შეგრძნება, თითქოს მოსწავლეებმა დიდი მამულიშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მხატვრული ფილმი წარმოგვიდგინეს.

საღამო მუსიკალურად გააფორმა ამავე სკოლის პედაგოგმა, კომპოზიტორმა ალინა ცხომარიამ. მოსწავლეებმა შეასრულეს ქართული სიმღერები, საგალობლები.

საღამო მეორე და მესამე კლასელებმა დააგვირგვინეს, მათ იმღერეს საგალობელი „გზა ტაძრისაკენ". რომელიც ქალბატონმა ალინამ სპეციალურად ამ საღამოსთვის შექმნა. საგალობლის შესრულების დროს წარმოდგენის მონაწილე უფროსკლასელებმა სანთელი აუნთეს ბატონ ექვთიმეს, როგორც წმინდანს და ღვაწლმოსილ მამულიშვილს. საღამოს მომზადებაში ბავშვებს კიდევ ერთი პედაგოგი, ქართული ენის მასწავლებელი ნატო ცერცვაძე დაეხმარა.

წარმოდგენაში ჩვენც ჩავერთეთ, ქალბატონმა მზია კეცხოველმა გაიხსენა როგორი სიყვარულით და მადლიერების გრძნობით მიიღო ქართველმა საზოგადოებამ თბილისში დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი, ბატონ ექვთიმეს და უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ბატონ ნიკო კეცხოველის პირადი ურთიერთობები. ქალბატონმა გულიკო ბარათაშვილმა მოსწავლეებს გააცნო აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის მოგონებები პარიზიდან ეროვნული საგანძურის თბილისში დაბრუნების და მუზეუმში განთავსების შესახებ. მე კი, ჩემი მხრივ, ქალბატონ ლია დოლაბერიძის ნაამბობი გავიხსენე მისი თაყაიშვილთან სახლში მუშაობის შესახებ.

გარდა იმისა, რომ იმ საღამოს ძალიან ვისიამოვნეთ, ჩვენ იმაშიც დავრწმუნდით, რომ სკოლა „სარკმელში", რომელსაც ქალბატონი ბაია გაბაიძე ხელმძღვანელობს, ძალზე ნაყოფიერად მუშაობენ მოსწავლეების საკუთარი ქვეყნის წარსულით, კულტურით დასაინტერესებლად, აცნობენ მათ ისტორიულ ძეგლებს, ქვეყნის მოამაგე მამულიშვილთა ღვაწლს. ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი საღამოს მოწყობის იდეაც ხომ მას შემდეგ გაჩნდა, რაც „სარკმელის" მოსწავლეებმა მუზეუმში გამოფენილი საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის მიერ გადარჩენილი ეროვნული საგანძური იხილეს.

*ე. სულხანიშვილი.*
*აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.*

# სიხარული და ბედნიერება დაგეყვებოთ!



ამ ზეიმის შემოქმედს ხათუნა ფაიქიძეს ბედნიერი ახალი წელი უსურვეს. ზეიმის მიწურულს მოწვეულმა თოვლის პაპამ პატარებს ლამაზ-ლამაზი საჩუქრები ჩამოურიგა.

ახალი იმედებით, სურვილებით და ოცნებებით შეეგებნენ შობა-ახალ წელს თბილისის სკოლა-ლიცეუმ „დავითის" პირველკლასელები. საახალწლო ზეიმზე ლამაზად მორთული, ათასფრად აელვარებული ნაძვის ხის გარშემო ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პატარა მომღერლები, მოცეკვავეები და დეკლამატორები. ავთანდილ ბიჩინაშვილმა, სოფო ჭამიაშვილმა, სოფო ხიდურიშვილმა, ანი მურადელმა, მარიამ თევზაძემ, ნინი ხომტარიამ, თაკო მეტრეველმა, ნინო მორჩაძემ, ირაკლი მირუაშვილმა, როლანდ მაღრაძემ, ლუკა დამნიანმა, ცოტნე კობერიძემ, დათო იჩქიტიძემ, ნიკა მაზანიშვილმა, სოფო არეშიძემ თვითონაც მთელი გულით მოილხინეს და სხვებიც გაამხიარულეს, საახალწლოდ ყველას ხალისიანი განწყობილება შეუქმნეს, მშობლებს და საყვარელ მასწავლებლებს.

ერთი დღე სკოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბრები ასტროლოგიაზე

# ზოდიაქო

*გთავაზობთ პატარა მოთხრობებს მთავარ თანავარსკვლავედებზე გერმანელი სწავლულის გოტჰარდ შტროჰმაიერის წიგნიდან „აბდ არრაჰმანის ვარსკვლავები“.*

*აბდ არ-რაჰმან ას-სუფი იყო ისფაჰანის ემირის კარის ასტრონომი, ცხოვრობდა 908-986 წლებში. მისი გარდაცვალების შემდეგ ქაიროს ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს ამ მეცნიერის ხელით ემირისათვის გაკეთებული ვერცხლის გლობუსი, რომელზედაც ცხოველების სახით გამოსახული იყო თანავარსკვლავედების სურათები. მანვე დაწერა წიგნი დიდი ბერძენი ასტრონომის პტოლემეოსის შესახებ და დააზუსტა პტოლემეოსის ცხრილის ზოგიერთი ადგილი. ეს სურათები მან ჩინებულად შეუფარდა ძველი განათლებული ხალხების მიერ მიღებულ წესს: თანავარსკვლავედებს ისინი უკეთ დამახსოვრების მიზნით რომელიმე ცხოველის, ფრინველის ან გმირის ფორმით გამოხატავდნენ და ასევე დარჩა საუკუნეების განმავლობაში რუკებზე, ატლასებში, წიგნებში. ასე ხატავენ დღესაც 12 თანავარსკვლავედს – ზოდიაქოს, რომელსაც გაივლის მზე თავის მარადიულ, სადღეღამისო, მიმოსვლის გზაზე.*



### პატარა დათვი და დიდი დათვი

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი თალესი სულ ვარსკვლავიან ცას აკვირდებოდა, ამისათვის შეუგნებელი თანამემამულენი დასცინოდნენ ბრძენკაცს. ხშირად გაიგონებდით ასეთ ამბავს: ერთხელ თალესი გზად მიდიოდა. ღამე იყო, ფილოსოფოსი მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას აჰყურებდა, ჭა ვერ შენიშნა და შიგ ჩავარდა. იქვე ახლოს მდგარ მონა ქალს გაეცინა: ცაში რა არის, იმის გაგება მოუწადინებია და ფეხქვეშ რა აქვს, ის ვერ გაუგიაო!

თალესს მიაწერენ, თითქოს მან პირველმა ასწავლა ბერძნებს, როგორ გაეგოთ გზა პატარა დათვის თანავარსკვლავედის დახმარებით. ჰომეროსის „ოდისეაში“ ჩრდილოეთის მიმართულებას ჯერ კიდევ დიდი დათვის მიხედვით არკვევდნენ. საპოვნელად ის მართლაც უფრო ადვილია, მაგრამ ზაფხულსა და ზამთარში ეს თანავარსკვლავედი საკმაოდ შორს იკარგება დასავლეთით ან აღმოსავლეთით. სინამდვილეში ფინიკიელმა მეზღვაურებმა თალესზე ადრე დაიწყეს ზღვაში გზის გაგნება პატარა დათვის თანავარსკლავედის მიხედვით და მცირე აზიის სანავსადგურო ქალაქ მილეთიდან შორს გამგზავრებულ ფილოსოფოსს შეეძლო თავისი ძვირფასი ცნობები მათგან გადაეღო. მაგრამ ბერძნები უკვე იცნობდნენ „დიდ დათვს“ და მის მეზობლად განლაგებულ თანავარსკვლავედებს. თალესმა პირველად უწოდა






ეროვნული ბიბლიოთეკა

„პატარა დათვი“. ბერძნებმა იცოდნენ, რომ უკიდურეს ჩრდილოეთში დათვები ცხოვრობენ და ამიტომ უწოდეს ხომლებს დიდი და პატარა დათვი.

როცა არაბებმა ბერძენთა ასტრონომია გადაიღეს, ორი ხვადი დათვი აიღეს, თვითონ კი კოლუსის მახლობელ თანავარსკვლავედებს უწოდეს ალ-ფარკადან, „ორი ხბო“. მათი სრული გაიგივება მაინც არაა სწორი. ას-სუფის აინტერესებდა კუდის პირდაპირ მოციმციმე ორი კაშკაშა ვარსკვლავი.

ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თალესმა და სხვა ბერძენმა ასტრონომებმა ჩრდილოეთის ვარსკვლავი დათვის კუდის კიდეზე არ დახატეს. ციურ მნათობთა პროცესის, გადახრის შედეგად ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 600 წელს ჩრდილოეთის ვარსკვლავი უფრო პატარა დათვის მახლობლად იყო მოქცეული. შემდეგ პტოლემეოსმა უძრავი ვარსკვლავების დიდ საძიებელში, მეშვიდე წიგნში პატარა დათვი წინ მოაქცია. ამ წიგნის არაბული თარგმანი „ალმაგესტი“ („უდიდესი“) კოპერნიკის დრომდე ასტრონომიის საძირკვლად ითვლებოდა. არაბები მას კვალდაკვალ მიჰყვნენ.

ახლა ისიც გავიგოთ, საიდან გაჩნდნენ ცაზე დათვები.

გავხედოთ ჩრდილოეთის ცას, როგორც ამ თანავარსკვლავედის მხრიდან მოვარდნილი ცივი ქარი, ისეთივე მკაცრია ამბები, რომლებსაც ბერძნები მოგვითხრობდნენ ამის შესახებ. არკადიის მეფეს ლიკაონს ერთი მშვენიერი ასული ჰყავდა, სახელად კალისტო. უდარდელად დანავარდობდა იგი არკადიის მთებში, მაგრამ ბედისწერამ მაშინ ჩაავლო უხეში ხელი, როცა ნადირობის მარად ქალწულმა ქალღმერთმა არტემიდემ გაიცნო და ისე მოეწონა, რომ თავის ამალაში ჩარიცხა, თანაც აღთქმა დაადებინა, რომ სიკვდილამდე ქალწულად დარჩებოდა, არცერთ მამაკაცს არ გაეკარებოდა. ერთხელ მამა ზევსმა მოჰკრა თვალი კალისტოს. ღმერთების მამამთავარი ახალ-ახალი სამიჯნურო თავგადასავლებით ირთობდა თავს. მოეწონა ქალიშვილი და უფრო იოლად რომ მოეგო მისი გული, ქალღმერთ არტემიდეს სახე მიიღო. ასე ლამაზად და ფაქიზად დაუახლოვდა მშვენიერ კალისტოს. ერთ დღეს, ბანაობის დროს, არტემიდემ შენიშნა, რომ მისი მხლებელი ქალწული ფეხმძიმედაა. განრისხებულმა ქალღმერთმა მეფის ასული მაშინვე ძუ დათვად აქცია. შეშინებული დათვი მეგობრებს გაერიდა, თავი ტყეს შეაფარა. იქ მალე ეყოლა მშვენიერი ჭაბუკი, არკადი. გავიდა ხანი. დედა-შვილი ტყეში შეხვდა ერთმანეთს. კალისტომ, ძუ დათვმა, იცნო შვილი და შესახვედრად გაეშურა. არკადი გაერიდა, შეეშინდა, მშვილდი მოიმარჯვა, რომ დათვი მოეკლა. დროზე შენიშნა ზევსმა, რომ მისი მიზეზი შვილი ალალ დედას უპირებს მოკვლას, კალისტოს კუდში ხელი ჩაავლო, ცაში აიტაცა და თანავარსკვლავედად, ხომალდად აქცია. მართლაც, ქვევიდან რომ ვუყურებთ, ის თითქოს ვიღაცას გაურბის. ისეთივე ბედი ეწია არკადის. ისიც თანავარსკვლავედად იქცა და დღესაც ცის თაღზეა მიხატული, როგორც ხარის მწყემსი, მენახირე. მითის მეორე ვერსიის მიხედვით, დიდმა ქალღმერთმა ჰერამ შეამჩნია, რომ მისი მეუღლე ზევსი მეფე ლიკაონის სასახლეში დადიოდა, რათა იქ მშვენიერ ასულს, კალისტოს შეხვედროდა. ამით განრისხებულმა ეჭვიანმა ჰერამ კალისტო ძუ დათვად აქცია. ტყეში არკადიმ (არკასმა) ძუ დათვად ქცეული დედა ვერ იცნო. მშვილდისრით მოკვლა დაუპირა და ზევსმა მისი დედა ცაში აიტაცა, დათვს სიმძიმისაგან კუდი დაუგრძელდა და ამიტომ აქვს „დიდ დათვს“ სამი კაშკაშა ვარსკვლავით დამშვენებული კუდი ასე უჩვეულოდ გრძელი. ზოგი მხატვარი მას ოდნავ „ამოკლებს“, მაგრამ ძველ რუკებზე დათვი ისევ ისე გრძელკუდიანია. უკვდავი ნიმფა კალისტო არ ქრება და ყოველ ღამე დედამიწას თავზე დაჰნათის.

## გველეშაპი



დიდი და პატარა დათვის თანავარსკვლავედებს შორის განლაგებულია ნაკლებად შესამჩნევ ვარსკვლავთა გრძელი რიგი, რომელსაც უძველეს დროში გველეშაპის სახელი დაენათლა. ამაზეა ნათქვამი: ორ დათვს შორის გველეშაპიაო. მართლაც, „ცაზე იმდენი ნადირია, ცა ძლივს აკავებს“.

რატომ გველეშაპი? ძველ ბერძენთა წარმოსახვაში, წალიკად გაჭიმული ეს ვარსკვლავთკრებული უზარმაზარი გველეშაპი იყო, თავზე სავარცხელი ჰქონდა და ქვედა ყბაზე — წვერი. ეს წარმოდგენა ჩინებულად შემოუნახავს ძველ ატლასებში გამოხატულ მინიატურულ სურათს. გველეშაპის მრავალი მორალური განმარტებიდან ერთ-ერთი მოგვითხრობს: იმ დროს, როცა ღმერთების ახალი მოდგმის მამამთავარი, ზევსი ჯერ კიდევ დაბადებული არ იყო, ქვეყნიერებას მამამისი, კრონოსი განაგებდა. ეს იყო საშინლად ეჭვიანი ტირანი. იმის შიშით, რომ შვილებს არ დაემხოთ, კრონოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყლაპავდა ახალშობილებს. მის მეუღლეს, დიდ ქალღმერთ რეას არ მოსწონდა ოჯახის უფროსის ასეთი საქციელი. ერთხელაც იგი კუნძულ კრეტაზე გაიპარა და იქ დაბადა ზევსი, ქმარს კი ყრმის მაგიერ ჩვრებში გახვეული დიდი ქვა გადააყლაპა. როცა ძიძა თხის – ნიმფა ამალთეას რძით ნაკვები ზევსი გაიზარდა, მამა ტახტიდან ჩამოაგდო და თვითონ გამეფდა. დასუსტებული კრონოსი იძულებული გახდა უკანვე ამოენთხია გადაყლაპული შვილები და მათთან ერთად ის ქვაც, რომელიც ზევსმა დელფოს სამლოცველოში მოათავსა. მლოცველები გაოცებულნი შესცქეროდნენ ამ საოცარ ქვას. კრეტაზე ამბობდნენ, კრონოსი ყრმა ზევსს დაეძებსო, მაგრამ ზევსმა თავისი ძიძები დათვებად აქცია, თვითონ გველეშაპად იქცა და ბოლოს სამივე ეს სახე ცარგვალზე მოათავსა იმ საფრთხის მოსაგონებლად, რაც ბავშვობაში გადახდაო.

სხვა მოთხრობა ამ თანავარსკვლავედს ჰერაკლეს (ჰერკულესს) უკავშირებს: ვითომ ეს იყო ასთავიანი გველეშაპი ლადონი, რომელიც მშვენიერი ნიმფების – ჰესპერიდების ბაღში დარაჯობდა ოქროს ვაშლს. ეს ვაშლი ოდესღაც დედამიწის ქალღმერთმა გეამ აჩუქა ქორწილში ზევსის მეუღლეს ჰერას, იმან კიდევ ბაღში დარგო და მცველად ურჩხული ლადონი მიუჩინა. ჰერაკლემ კომბლით მოკლა გველეშაპი და მოიტაცა ოქროს ვაშლები, ეს იყო მისი მეთორმეტე გმირობა. შემდეგ ის გველეშაპი ჰერამ ცაში მოათავსა.

მესამე გადმოცემის მიხედვით, გველეშაპი, ანუ დრაკონი სიმბოლოა ოლიმპოს ღმერთების გამარჯვებისა მეამბოხე გიგანტებზე. ეს სიუჟეტი გამოხატულია პერგამოს საკუთრხევლის ფრიზზე, რომელიც ბერლინში ინახება. გიგანტებს ფეხების ნაცვლად გველები ჰქონდათ. ერთ მათგანს კი სასროლი შურდულის მაგივრად უზარმაზარი გველეშაპი ეჭირა. ომის ქალღმერთმა ათენამ გიგანტის ნატყორცნი გველეშაპი ხელით დაიჭირა, მაღლა ისროლა და ცარგვალზე მოათავსა, სადაც ის დღემდეა გადაჭიმული და შიშით ფერი აქვს დაკარგული.

არაბებს უფრო მარტივად ჰქონდათ წარმოდგენილი ეს ხომლი: მას სამკუთხედის სახით ხატავდნენ, სამსავე კუთხეში კერიის ქვები იყო ჩალაგებული, შუაში უდაბნოს მკვიდრი ბედუინები ცეცხლს აჩაღებდნენ და ზედ ქვაბს დგამდნენ. არაბი



ასტრონომი ას-სუფი აქ ასახელებს პტოლემეოსის ცხრილის მე-14, მე-15 და მე-16 ვარსკვლავებს.

### კეფევსი

ძველი ასტრონომებისათვის კეფევსის თანავარსკვლავედი ერთიანი დიდი კომპოზიციის ნაწილი იყო. აქ შედიოდა აგრეთვე ანდრომედა, კასიოპეა, პერსევსი და ვეშაპი.

კეფევსი იყო ეთიოპიის მეფე, კასიოპეა – მისი ამაყი და მკვეხარა მეუღლე, რომელმაც დაიტრაბახა: ნერეიდებზე ლამაზი ვარო (სხვა ვერსიით: ჩემს ასულს ანდრომედას სილამაზით ნერეიდებიც ვერ შეედრებიანო). აღშფოთებულმა ღვთაებებმა ზღვის ღმერთს პოსეიდონს შესჩივლეს და გათავხედებული დედოფლის სამაგალითოდ დასჯა მოსთხოვეს. პოსეიდონმა ეთიოპიას მოუვლინა საშინელი ურჩხული, რომელიც აოხრებდა ქვეყანას და ნთქავდა ადამიანებს. მისნის რჩევით კეფევსმა და კასიოპეამ ზღვისპირა კლდეზე მიაჯაჭვეს მშვენიერი ასული ანდრომედა: ურჩხული მას შეჭამდა და ქვეყანას მოასვენებდა. მეფის ასულს დროზე მოუსწრო მედუზის მკვლელმა, გმირმა პერსევსმა, მოკლა ურჩხული და შეირთო ანდრომედა.

დიდმა მეცნიერმა პტოლემეოსმა ამდენი გმირი ერთად „არ გააჩერა", დაშალა, გამოყო ცალკე მეფე კეფევსი, რომელიც დაჩოქილი და ხელებაპყრობილი ლოცულობს, რათა მისი ასული ღმერთებმა იხსნან. ეს მასალა მრავალმა პოეტმა ასახა. სურათებში კეფევსს სპარსეთის მეფის მსგავსი ქუდი ახურავს.

საუბრები ასტრონომიაზე

# ავტოსიახლეები

## ავტომობილი – ბაყაყი



გასული წლის მიწურულს ტოკიოს საერთაშორისო „მოტორ-შოუზე“ წარმოდგენილ 700 მოდელს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა იაპონური ფირმა „ტოიოტას“ ელექტრომობილი – ბაყაყი პიემი. გარეგნულად ელექტრომობილი ბაყაყს ჰგავს, რომელსაც ფეხების ნაცვლად ბორბლები აქვს. „ბაყაყის ტანი“ წარმოადგენს დაახლოებით 75 გრადუსის კუთხით წაგრძელებულ კაფსულას ზედა გამჭვირვალე ფრთით. ადამიანი შიგ ისე ზის, როგორც ჭიის პარკში. დიდი სიჩქარისას იგი ჰორიზონტალურ მდგომარეობას იღებს და პი-ემი იჭიმება, ხოლო როცა ავტოსადგომზე გასაჩერებელი ადგილი არ არის, პირიქით – იკუმშება. ელექტრომობილი ძალიან მანევრულია – ავტონომიურად მომუშავე ბორბლებს ყველა მიმართულებით შეუძლია შებრუნება, მათ შორის პერპენდიკალურადაც, ასე რომ „ბაყაყს“ შეუძლია ჩიკორივით იბზრიალოს ერთ ადგილზე. უნიკალური ილუმინაციის წყალობით კორპუსი ფერის შეცვლასაც ახერხებს. ელექტრომობილი, რომ იტყვიან, დატენილია ყველანაირი ელექტრონიკით, მართვის სისტემაში ავტოპილოტის რეჟიმიც კი არის. მანქანის პატრონმა უბრალოდ კომპიუტერში მისამართი უნდა შეიტანოს და ნავიგატორის მეშვეობით „ბაყაყი“ თვითონ მივა დანიშნულების ადგილზე, გზას კი მრავალრიცხოვანი სენსორების დახმარებით გაიგნებს. ამ მოდელის ავტომობილებს ყველაფერთან ერთად, შეუძლიათ ინტერნეტით დაუკავშირდნენ ერთმანეთს და გზაში წარმოქმნილი „საცობების“ შესახებ აცნობონ.

## ავტომობილის, კატარღის და მოტოციკლეტის ჰიბრიდი



ინგლისელმა მოყვარულმა დევიდ ბეიკერმა მოტოციკლეტისძრავიანი სამბორბლიანი ამფიბია ააგო. ხმელეთზე ავტომობილის, მოტოციკლეტისა და კატარღის ჰიბრიდის სიჩქარე საათში 200 კილომეტრს აღწევს. წყალზე წინა ბორბლების ფრთები ამფიბიის ძირქვეშ იკეცება და წყალქვეშა ფრთებად გადაიქცევა, რაც 80 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას იძლევა.

## სიმძლავრე – 600 ცხენის ძალა

„მერსედეს-ბენცის“ შვილობილი კომპანია AMG-ს სუპერავტომობილი CL 65-ის მთავარი ღირსებაა სპორტული CL 600-დან აღებული V 12. ამ მოდელის აგრეგატის მუშა მოცულობა 6,5 ლიტრამდე გაიზარდა, რის შედეგადაც მოხერხდა 600 ცხენის ძალის სიმძლავრის და 1000 ნ/მ მაბრუნი მომენტის მიღება. ეს ავტომობილი ადგილიდან ას კილომეტრს 4,5 წამში ავითარებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 12 ფაქტი წმინდა ვალენტინის დღის შესახებ

ლეგენდის თანახმად, თავის არსებობას ეს დღესასწაული მღვდელ ვალენტინს უნდა უმადლოდეს. რომის იმპერატორმა კლავდიუს II გოთელმა (რომელიც მარკუს ავრელიუსის სახელითაც იყო ცნობილი) მკაცრად აუკრძალა თავის ლეგიონერებს ცოლის შერთვა, რათა ლაშქრობების დროს გულს სახლში არ გაეწია. მეომრებს მხსნელად მოევლინა მამა ვალენტინი, რომელიც ფარულად წერდა ჯვარს ლეგიონერებსა და მათ რჩეულებს. იმპერატორმა შეიტყო ამის შესახებ და მღვდლის ხაროში ჩაგდება ბრძანა. 270 წლის 14 თებერვალს, განთიადზე მამა ვალენტინი სიკვდილით დასაჯეს.

♥ ♥ ♥

ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ყოველივე ეს ლამაზი ლეგენდაა და სხვა არაფერი. ისტორიული დოკუმენტებით კი ცნობილია ორი მოწამე ვალენტინის სახელი. ერთი მათგანია რომაელი მღვდელი, რომელიც 269 წელს დაიღუპა და მეორე – უმბრიელი მქადაგებელი, რომელიც 273 წელს დასაჯეს სიკვდილით. ამასთან ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ დოკუმენტში ერთი სიტყვაც არ არის თქმული იმის შესახებ, რომ რომელიმე მათგანი შეყვარებულთა მფარველი ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, წელიწადში ერთხელ, სახელდობრ, 14 თებერვალს, ყველა მსურველს შეუძლია იხილოს წმ. ვალენტინის ნეშტი მადრიდში, წმიდა ანტონიოს ეკლესიაში.

♥ ♥ ♥

მიჩნეულია, რომ სულ პირველი ვალენტინის ბარათი ორლეანის ჰერცოგმა შეადგინა 1415 წელს. ლონდონის ტაუერის საპყრობილეში გამომწყვდეულმა ჰერცოგმა საფრანგეთში მყოფ თავის მეუღლეს ლექსად დაწერილი ბარათი გაუგზავნა.

♥ ♥ ♥

ზოგიერთ ქვეყანაში დღემდე არსებობს 14 თებერვალს მთელი მომავალი წლისთვის ვალენტინების (ორივე სქესის) არჩევის ჩვეულება. სწორედ ასე გაიცნო თავისი მომავალი ცოლი ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა რობერტინო ლორეტიმ.

♥ ♥ ♥

„წმინდა ვალენტინის დღის სასაკლაოს“ სახელწოდებით შევიდა აშშ-ს კრიმინალურ ისტორიაში 1929 წლის




14 თებერვალს ცნობილი განგსტერის ალ კაპონეს მიერ მოწყობილი „გარჩევა“. გაუსწორდა რა თავის კონკურენტებს, იგი ჩიკაგოს დანაშაულებრივი სამყაროს უგვირგვინო მეფე გახდა.

♥ ♥ ♥

წმინდა ვალენტინის დღის წინამორბედია ძველრომაული ლუპერკალიები, რომლებიც ჯოგების ღმერთის, ლუპერკუსის პატივსაცემად იმართებოდა. დღესასწაულზე ხალხს ტანსაცმლის სახელოებზე მიმაგრებული ჰქონდა ქსოვილის სპეციალური ნაჭრები ზედ წაწერილი შეყვარებულის სახელით. ამგვარი ტრადიცია ბევრ ქვეყანაში დღემდე შემორჩენილია. საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა კი ძველ რომში არ იყო აუცილებელი.

♥ ♥ ♥

დაუწერელი კანონების თანახმად, წმინდა ვალენტინის დღეს შეიძლება ყველაფრის ჩუქება: დაწყებული „ბანალური“ კანფეტებითა და სუნამოებით, საგანგებოდ შეკვეთილი საწოლებითა და ბალიშებით დამთავრებული. მთავარია საჩუქარს გულის მოყვანილობა ჰქონდეს.

♥ ♥ ♥

სახელგანთქმულმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ თავისი სახლის ერთი ოთახი დაუთმო საჩუქრებსა და ბარათებს, რომლებიც მისთვის თაყვანისმცემელ ქალებს წმინდა ვალენტინის დღეზე უჩუქებიათ. ყველა საჩუქარი დანომრილია და წყობისად აწყვია თაროებზე. ეს ოთახი მუდამ ჩაკეტილია და მისი გასაღები მხოლოდ თავად აგასის აქვს.

♥ ♥ ♥

ყველა შეყვარებულის დღე მრავალი როკ-კომპოზიციის სახელწოდებაში მოიხსენიება: დაწყებული ინსტრუმენტული „Valentive Day“-დან (პოლ მაკარტნის პირველი სოლო ფირფიტა), ბრიუს სპრინგსტინის „Valentive Day“-ით დამთავრებული.

♥ ♥ ♥

თავის დროზე არსებობდა ყოველთა შეყვარებულთა დღესთან დაკავშირებული მრავალი ტრადიცია და ჩვევა. მაგალითად, XVII საუკუნეში ზოგიერთ ქვეყანაში წმინდა ვალენტინის დღეს ქალიშვილს უნდა შეეჭამა მაგრად მოხარშული კვერცხი და ბალიშზე 5 დაფნის ფოთოლი უნდა მიემაგრებინა, მაშინ ძილში მას თავისი საბედო მოევლინებოდა.

♥ ♥ ♥

სიტყვა „Valentine“ ინგლისურ ენაში ყველაფერთან ერთად, ფრინველთა საქორწინო პერიოდის დაწყებასაც აღნიშნავს. ეს კი დაკავშირებულია იმ უძველეს რწმენასთან, რომ 14 თებერვალს ფრთოსნები წყვილს ირჩევენ.

♥ ♥ ♥

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო „ვალენტინკების“. ვალენტინის ბარათების სამრეწველო გამოშვება, რამაც საგრძნობლად გაუადვილა საქმე შეყვარებულებს და ხელი შეუწყო დღესასწაულის პოპულარიზაციას.

კომიქსი

# ახალი სმოლანდიის აღმოჩენა

მოგზაურისა და ბუნებისმეტყველის პროფესორ კლოპიდორ კუკოლკას მოგზაურობისა და მის მიერ ახალი სმოლანდიის აღმოჩენის შესახებ გვიამბობს ცნობილი შვედი მოგზაური როლფ ბლომბერგი. გთავაზობთ მის მიერ პაროდიის სტილში შეთხზულ ნაწარმოებს შემოკლებული სახით და შეგახსენებთ, რომ „ახალი სმოლანდიის აღმოჩენის“ ნახატების ავტორიც თავად რ. ბლომბერგი გახლავთ.

ახალ გვინეაში მოგზაურობისას პროფესორ კუკოლკას ერთხელ მარგალიტის მაძიებელთა სანდალით მოუხდა მოგზაურობა. სანდალის კაპიტანმა პროფესორს ერთ საოცარ კუნძულზე უამბო. შინ დაბრუნებულმა მეცნიერმა გადაწყვიტა ამ კუნძულზე ექსპედიცია მოეწყო და სულ მალე სისრულეში მოიყვანა ეს გადაწყვეტილება. მოგზაურობის შესახებ თავად პროფესორი კუკოლკა გვიამბობს.



1

სტოკჰოლმის ნავსადგურში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ჩემ გასაცილებლად. „ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კლოპიდორ კუკოლკა, ცისფერთვალება ვიკინგო, ენტომოლოგიის უშიშარო რაინდო! – მისურვა ბაყაყების ცნობილმა მკვლევარმა, პროფესორმა კორნეგი ნილმა და მე ხომალდი ზღვაში გავიყვანე



2

მოგზაურობა დაიწყო. იმ მწერების პატივსაცემად, რომელთაც ჩემი სადოქტორო დისერტაცია მივუძღვენი, ხომალდს „ნეზარა“ ვუწოდე.



3

მავრიკიის კუნძულის სამხრეთით ქარიშხალი დამატყდა თავს, მაგრამ საბედნიეროდ, ზურგის ქარი უბერავდა და „ნეზარა“ სარეკორდო სიჩქარით – საათში ათი კვანძით მიიწევდა წინ.



4

გეზი მანოკვარისკენ ავიღე. კუნძულ სუპიორის დასავლეთით უზარმაზარ ზღვის გველს გადავაწყდი და საბოლოოდ ვირწმუნე მისი არსებობა.



5

ერთი სული მქონდა, როდის მივაღწევდი სანუკვარ კუნძულს და აი მანოკვარიდან გამოსვლიდან მეთერთმეტე დღეს ჰორიზონტზე ხმელეთი დავლანდე. მოზრდილი მთაგორიანი კუნძული ჩანდა.



6

„კლოპიდორ კუკოლკა, – ვუთხარი მე ჩემს თავს, – შენ ახალი მიწა აღმოაჩინე!“ ამასობაში დაღამდა და მე ლუზა ჩავუშვი.




7

მეორე დილით გულის ფანცქალით გავეშურე კუნძულისაკენ. საოცრად ლამაზი ტროპიკული კუნძული იყო, ცისფერი ვულკანური მწვერვალებით, მარადმწვანე უსიერი ტყეებით და პალმებიანი ნაპირებით.



8

მშობლიური მხარის საპატივცემულოდ, ჩემ მიერ აღმოჩენილ კუნძულს ახალი სმოლანდია ვუწოდე, მშვენიერ სრუტეს კი იმ ახალგაზრდა, მომხიბვლელი მსახიობი ქალის სახელი დავარქვი, რომლის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოწილო-მიწილო

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. მეცხრამეტე საუკუნის პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე; 6. XIX საუკუნის ქართველი პოეტი; 11. პატარა თხრილი; 12. უკრაინის ქალაქი; 13. რიცხვი; 14. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 15. დიდი გარდატეხა, ცვლილება; 17. სიტყვა, რომელიც მოქმედებას გამოხატავს; 19. გარეული ცხოველი. 20. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, სადაც მოკლედ გადმოცემულია მოქმედ პირთა შემდგომი ბედი; 21. ქართული ზღაპრის პერსონაჟი; 26. დამუხტული ელექტრონი; 27. ბერძნული მითოლოგიის გმირის, დედალოსის ვაჟი; 30. იალქნის სინონიმი; 31. ლატვიის დედაქალაქი.; 34. ბოსტნეული მცენარე; 36. ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილი, რომელსაც კარგ პირზე ამობურცული სახეები აქვს; 37. სისტემაში მოყვანა, მოწესრიგება; 38. დამოუკიდებლად არსებული ორგანიზმი.



**შვეულად:** 1. ხალხური სიტყვიერების ჟანრი; 2. საკვები პროდუქტი; 3. სიტყვები, რომლებიც შედგენილია ერთი და იმავე ბგერებისაგან ამ ბგერების სხვადასხვა დალაგებით; 4. მდიდრული აგარაკი; 5. წელიწადის თვე; 7. თალი; 8. პირველყოფილ ხალხთა რწმენა, რომლის მიხედვითაც ყველა საგანს აქვს სული; 9. დაბლობი ადგილი; 10. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 14. ტოლგვერდა ირიბკუთხა პარალელოგრამი; 15. შავი ფერის გამჭვირვალე ნაოჭებიანი ქსოვილი. 16. ერთგვარი ყავისფერი კანფეტი, პატარა ოთხკუთხა კვერების სახით; 18. ცირკის მოედანი; 22. სოფელი მცხეთის რაიონში; 23. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 24. მოკლედ და მხატვრულად გამოთქმული ბრძნული აზრი; 25. სასაფლაო ან აკლდამა, სადაც გამოჩენილ ადამიანებს ასაფლავებენ; 28. საქართველოს ერთ-ერთი რაიონის ცენტრი; 29. სოფელი ცაგერის რაიონში; 32. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები; 33. ცხვრების ჯოგი; 36. გაკვეთილის დაწყების მაუწყებელი სიგნალი; 37. ამერიკის სახელმწიფო.



ფისოს ეჩვენება, ჰომ ნიუნუნას ბანაჰზე მეტი ბლითი აქვს. მაჰთლა ასეა?

## ავარჯიშეთ მეხსიერება

მეხსიერებას, როგორც კუნთებს, სისტემატური ვარჯიში სჭირდება. გთავაზობთ რამდენიმე სავარჯიშოს.

17,41, 39, 57, 14, 22, 63

გაეცანით ამ ციფრებს? კარგად დაიმახსოვრეთ. შემდეგ ციფრებს რამე დააფარეთ. დათვალეთ 15-მდე. მერე ეცადეთ დაწეროთ ეს ციფრები. ცხადია, იმ ქაღალდში ჩაუხედავად, მეხსიერებით!

***



16 უჯრედში თორმეტი ნახატია. დააკვირდით მათ 1 წუთის განმავლობაში და მერე რამე დააფარეთ. ცალკე ფურცელზე ჩაწერეთ უჯრედში საგნების განლაგება. თუ შეუცდომლად შესძელით 7 გამოსახულების უჯრედში მოთავსება, კარგი მეხსიერება გქონია.

## უჯრედებში ჩაწერეთ საქართველოს მდინარეთა სახელები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ნახატები







თამუნა ჩიჩუა,
7 წლის










| | იანვარი | თებერვალი | მარტი |
|---|---|---|---|
| ორშ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 1 8 15 22 29 |
| სამშ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 2 9 16 23 30 |
| ოთხშ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 3 10 17 24 31 |
| ხუთშ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 4 11 18 25 |
| პარ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 5 12 19 26 |
| შაბ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 6 13 20 27 |
| კვ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 7 14 21 28 |

| | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|
| ორშ. | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 |
| სამშ. | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |
| ოთხშ. | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |
| ხუთშ. | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 |
| პარ. | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 |
| შაბ. | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |
| კვ. | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |

| | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი |
|---|---|---|---|
| ორშ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |
| სამშ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 |
| ოთხშ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |
| ხუთშ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |
| პარ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 |
| შაბ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 |
| კვ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |

| | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|
| ორშ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |
| სამშ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| ოთხშ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |
| ხუთშ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |
| პარ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |
| შაბ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| კვ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |

